# საერთო გაზეთი

№29 (668)
ოთხშაბათი
7 სექტემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.




## იგორ კვესელავა: როგორი პოლიტიკური შემოდგომა ელოდება საქართველოს?

2023 წელი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში განსაკუთრებული წელი იქნება

## კობა არაბული: ქართული პოლიტიკური სივრცის მოწამლული „პეიზაჟები“ და „ოთხნი“

მოვუწოდებ „ოთხთა კავშირს“ – შესანიშნავ პარლამენტარებს, გააძლიერონ „ხალხის ხმა“, მათი მოქმედება თანდათან იქცევა ეროვნული ხსნის ენერგიად





## ნანა კაკაბაძე: „თუ ვინმე მომკლავს, ეს იქნება ის ძალა, რომელსაც მე ვამხელ და ვუპირისპირდები“

რატომ დაარქვა სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო-აფხაზეთი, ცხინვალის ოლქი 200 სოფლით რატომ გაზარდა და რატომ დაკარგა ტერიტორიები?

## გელა ზედელაშვილი: ჩამოვიდნენ, ნახეს, გაოგნდნენ, წავიდნენ!

ფსიქიატრებმა სააკაშვილის პიროვნების ფსიქოლოგიური კვლევა მისი ბავშვობით დაიწყეს და სწორად იპოვეს იმ გადახრების მიზეზი, რაც დიაგნოზში აისახა





## სოსო შატბერაშვილი: გვაქვს ინფორმაციები, რომ შემოდგომაზე მოსალოდნელია სამხედრო გადატრიალების მცდელობები

ყოფილი ხელისუფლება აშშ-ის ყურმოჭრილი მონაა, რასაც უბრძანებენ, ახლაც იმას ასრულებენ

## პაპი ფრანცისკე: მესამე მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს

ვახტანგ ხარჩილავა

## დიდება მოთმინებასა შენსა, ქართველო ხალხო!

დავით გურამიშვილის მოტივებზე



წაბილწეს ავაზაკებმა
ღმერთების სამოსახლო,
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

ვინც მეგობარი გეგონა,
ისიც მტერთან დგას ახლოს.
ისევ გიმტყუნა გუმანმა,
ისევ გიმტყუნა ალღომ.
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

ვაი, შენ, ეშმაკებისგან
ფუძედაღრღნილო სახლო,
ადრე გმირების მშობელო,
ახლა კი — დუქნის დახლო.
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

ვერ მოგიშორე, ნაღველო,
ვერ მოგიშორე, თალხო,
გაგავერანეს, აგჩეხეს,
ედემ-წალკოტის ბაღო.
არ მსურს, ბეჩავი გიხილო,
ძლიერი მინდა, გნახო.
დიდება მოთმინებასა,
დიდება მოთმინებასა,
დიდება მოთმინებასა,
შენსა, ქართველო ხალხო!

# 2023 წელი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში განსაკუთრებული წელი იქნება

*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა:*

**— ბატონო იგორ, რა ხდება პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, ცხელი ზაფხულის შემდეგ როგორი შემოდგომა გველოდება?**

— მინდა გითხრათ, რომ არც შემოდგომა იქნება გრილი. საქართველოს მარტივი პოლიტიკურ-ეკონომიკური შემოდგომა ნამდვილად არ ელოდება. საკმაოდ ცხელი შემოდგომა იქნება. საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, 30 წლის მანძილზე ვერ მოწესრიგდა პოლიტიკური ურთიერთობები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ასევე, თავად ოპოზიციასა და პოზიციას შორის, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. ამის მაგალითები შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული მრავლადაა, რა დროსაც გამოიკვეთა წინააღმდეგობები პრეზიდენტსა და „ნაცმოძრაობას" შორის, მერე, მიშას დროს მასა და ჟვანიას შორის. როცა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავედით, დაპირისპირებებმა მეტად იჩინა თავი.

ჩემი აზრით, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა ნაჩქარევი და აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. ამ ყველაფერს პოლიტიკური, შესაბამისად, ეკონომიკური კულტურის მაღალი დონე სჭირდებოდა. საქმე ისაა, რომ ჩვენ, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავედით არა ხალხის აზრის გათვალისწინებით, არამედ პიროვნული ფაქტორებიდან გამომდინარე. კერძოდ, ეს, სააკაშვილის მოთხოვნით მოხდა, ანუ, მიშას დაჟინებით, იმიტომ რომ, მას საპრეზიდენტო ვადა ეწურებოდა და ხელისუფლებაში სხვა რანგში — მთავრობის თავმჯდომარედ დარჩენას ფიქრობდა, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა დაამტკიცებდა. შედეგად, კონსტიტუციაში ცვლილებები შევიტანეთ, რაშიც თავადაც ვმონაწილეობდი.

ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ, ამისთვის მომზადებული არ ვიყავით და უარყოფითი მოტივებიც გამოვლინდა, ურთიერთდაპირისპირებები დაიწყო. აი, ეს შედეგი მოგვცა სააკაშვილის პირად ინტერესებზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ — ქვეყანაში საპარლამენტო რესპუბლიკა ხელოვნურად შემოვიტანეთ. მალევე, ისევ, მივიღეთ დაპირისპირება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. ამის მაგალითია მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდი. ეს საკადრო გადაწყვეტილება მცდარი აღმოჩნდა, რასაც მკვეთრი დაპირისპირებები, გაუთავებელი ვეტოები და ა.შ. მოჰყვა. ახლაც, საკადრო პოლიტიკის შედეგად, პრეზიდენტ ზურაბიშვილსა და მთავრობას შორის ისევ უთანხმოებაა, კონსენსუსი ვერ შედგა.

ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა კონკრეტული ელჩის დანიშვნას მხარი არ დაუჭირა, რადგან, მისი თქმით, ამ ელჩმა სათანადოდ ვერ იმუშავაო. მსგავსი რამ მსოფლიო პრაქტიკაში არ ხდება. პრეზიდენტი არ ემხრობა ელჩების დანიშვნას, მეორე მხრივ, იძულებულია, მთავრობის ზეწოლის შედეგად ხელი მოაწეროს ელჩის დანიშვნას და განაცხადოს: ხელს ვაწერ, მაგრამ მას ამერიკაში 5 წლის მანძილზე არაფერი გაუკეთებიაო. ასეთი რამ არსად გამიგია. ეს გახლეჩილობა თუ გაგრძელდა, წარმატებას ვერ მივაღწევთ. დიახ, ასე თუ გაგრძელდა, კარგი შემოდგომა არ გვექნება არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც სოციალური, არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

**— ბატონო იგორ, ოპოზიციამ დაგვიანონსა, სექტემბრიდან მასობრივ დაუმორჩილებლობას დავიწყებთო. რა მოლოდინები გაქვთ?**

— ხელისუფლებაში მოსასვლელად და ძალაუფლების ასაღებად სამი მთავარი მიმართულება არსებობს — პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ბრძოლა. ოპოზიცია სამივე მიმართულებას იყენებს. იდეოლოგიის კუთხით, მათ აქვთ თავიანთი სატელევიზიო არხები, მხარდამჭერები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ — ევროპაში და სხვაგანაც. პოლიტიკური და იდეოლოგიური საშუალებებით იბრძვიან და იკვეთება, რომ ეკონომიკური კუთხითაც იმავეს აპირებენ. არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთ-უკრაინის ურთულესი ომი გრძელდება და ეს კიდევ დიდხანს გასტანს. ზოგადად, მსოფლიო, ზამთარში საოცარი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ქართულ სახელმწიფოში ერთი-ორი პიროვნება იბრძვის, რათა ქვეყანა აღმშენებლობისკენ წავიდეს, მაგრამ კოლექტიურ ნებას ვერ ვხედავ. მინისტრების გარკვეულ ნაწილს კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიონალიზმი აკლია. განათლების, მეცნიერების დონე, ქვეყანაში უკან მიდის. „მეცნიერებათა აკადემია", ფაქტობრივად, დაშლის პირასაა, იმიტომ რომ, დაფინანსება აღარ აქვს. სკოლებში სავალალო მდგომარეობაა — მასწავლებლების განათლების დონე ძალიან დაბალია. გარდა ამისა, სხვა პრობლემებიცაა. ავიღოთ, წალენჯიხის მაგალითი — ერთ-ერთ ბაღში ჰყავთ 400 ბავშვი და 350 თანამშრომელი. ანუ, ერთი თანამშრომელი მოდის ერთ ბავშვზე. ამ შემთხვევაში კადრების გათავისუფლება სწორი მიმართულებაა. ერთ ბავშვს თითო აღმზრდელი რად უნდა, ქვეყანას ამის საშუალება არ აქვს. მსგავსი რამ არსად გამიგია — 500 ბავშვზე 500 თანამშრომელი მოდიოდეს.

**— ევროპული ოჯახისკენ ვისწრაფვით, აქტიურად ვემზადებით კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად, თუმცა საზოგადოების ნაწილს ევროპული ღირებულებები ასე ესმის — უნდა დაგმო ყველაფერი რუსული.**

— აბსოლუტურად, გეთანხმებით, ასეთი უკიდურესობის წინაშე საქართველო არასდროს მდგარა. დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფოებრიობა დაკარგული გვქონდა, მაგრამ ასეთი რამ მაშინაც არ ხდებოდა. კრიტიკა ისმოდა, მაგრამ ის რაც დღეს ყველაფერი რუსულის მიმართულებით ხდება, წარმოუდგენელია. კი, ეს ემოცია ტერიტორიების საკითხმა გამოიწვია. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ტერიტორიების დაკარგვის საკითხში არც ჩვენ ვართ ანგელოზები. კი, ბატონო, 1992 წელს შევარდნაძე აფხაზეთში შევიდა და ომი აწარმოა, ბრძოლები ორმხრივი იყო, მაგრამ აქაც, არ ვიყავით ბოლომდე მართლები. შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომის მერე, ჩვენ რუსეთი მტრად გამოვაცხადეთ და დიპლომატიური ურთიერთობა გავწყვიტეთ, მაგრამ შევინარჩუნეთ ეკონომიკური ურთიერთობა. ჩვენი ეკონომიკის დიდი წილი რუსეთზე მოდის. იქედან შემოდის გაზი, ნავთობი, სხვადასხვა პროდუქცია. ეკონომიკურ ურთიერთობაში გვინდა ყოფნა და დიპლომატიური რატომ არ უნდა აღვადგინოთ?! ქუჩაში გამოსვლით და ოკუპანტია, ოკუპანტიას ძახილით, პრობლემა ვერ მოგვარდება. გასაგებია რომ ოკუპანტია, მაგრამ ურთიერთობა არ უნდა დაძაბო, აქ, კიდევ შემოსვლის საბაბი არ უნდა მისცე. ჩვენ, ცალსახად, არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა მივებათ — არც ამერიკას, არც რუსეთს, არც ევროპას. მათ მკერდზე, ზურგზე კი არ უნდა ვიყოთ მიბმული, არამედ ვითანამშრომლოთ, პარტნიორები ვიყოთ. ამერიკის კულტურა ახალია — 200-300 წელს ითვლის. საქართველოს კულტურა უძველესია, მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ჩვენი მასშტაბებით არავისზე ნაკლები არ ვართ. არ მესმის, მაინცდამაინც, ამერიკის ან ევროპის კულტურას რატომ უნდა მივებათ?! საქართველო ევროპამდე არსებობდა. ჩვენ, ევროპამდე გვყავდა ბუმბერაზი შოთა რუსთაველი, მხატვრები, ფილოსოფოსები და ა.შ. შევარდნაძის უაზრო მოღვაწეობის შედეგად, ტერიტორიები დავკარგეთ, ქვეყანა დაიქცა, „მხედრიონმა" ყველაფერი გაანადგურა. მერე, 2008 წლის აგვისტოში, ესეც ხელისუფლების „ვაჟკაცობით", ისევ დავკარგეთ ტერიტორიები და ისინი ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ჩვენ შეგვეძლო ვითარება გადაგვერჩინა. პარადოქსია, მაგრამ საკუთარი ტერიტორიების დაკარგვის — არც 1992 წლის და არც 2008 წლის მერე, რუსეთს ოკუპანტს იმდენად არ ვეძახდით, როგორც ახლა ვართ ერთ ამბავში. ახლა, როცა რუსეთ-უკრაინას შორის ომი მიმდინარეობს, ოკუპანტი, ოკუპანტის ძახილი გავაცხოველეთ. შე ოჯახაშენებულო, რუსი შენ რომ გართმევდა ტერიტორიებს, სახელმწიფოს, მაშინ არაფერს ამბობდი და ახლა ყოველ წუთს, ყოველ სატელევიზიო გადაცემაში ოკუპანტის ძახილია. რა გამოდის, უკრაინა უფრო დიდია ჩვენთვის, ვიდრე ქართული მიწის საკითხი?! ეს არის პარადოქსი, რასაც „ნაცმოძრაობა", სხვა პარტიები და მათ აყოლილი საზოგადოება აკეთებს. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მაშინ საერთოდ შევწყვიტოთ რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობა და რას მივიღებთ? — საქართველო ორ კვირაში დაიშლება. ამ ხალხმა ეს უნდა შეიგნოს. ამ ფონზე, აბსოლუტურად ვემხრობი პრემიერ ღარიბაშვილის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში. თუმცა, გულახდილად გეტყვით, სამეგრელოს მიმართ წარმოებული პოლიტიკა არ მომწონს. სამეგრელო დაიჩაგრა. მეგრელ კაცს კახეთში უწევს წასვლა და ვაზის გაფურჩქვნაში, კრეფაში მონაწილეობის მიღება. უმძიმესი ვითარებაა. სამეგრელოს განსაკუთრებული მოფერება უნდა.

**— რუსეთ-უკრაინის ფრონტის ხაზზე რა ვითარებაა?**

— ადრეც, გითხარით: ეს მესამე მსოფლიო ომია, რაც ამერიკამ თავისი ინტერესებისთვის წამოიწყო. ევროპამ იფიქრა: მოდი, ამ ომით ვისარგებლებ და ეკონომიკური სანქციებით რუსეთისგან განდგომის გზა დავადგებით.





მაგრამ რა მოხდა? — ევროპამ და სხვებმაც მარცხი იწვნიეს, მხოლოდ, ერთი-ორი ქვეყანა მდიდრდება. ომი ზამთარშიც გაგრძელდება და მერეც. ზოგი გაიძახის: უკრაინა გაიმარჯვებსო, ზოგიც გამარჯვებას რუსეთს უწინასწარმეტყველებს. აი, ამ ორ უკიდურესობაში არის ჩავარდნილი ქართველი ერიც და ევროპაც. ვფიქრობ, უახლოეს ხანში, ევროპაში მიხვდებიან, რომ რუსეთი სანქციებმა კი არ დაასუსტა და დაშლამდე მიიყვანა, არამედ გააძლიერა. ამ სანქციებმა გამოიწვია ის, რომ რუსეთმა ურთიერთობა დაიწყო ინდოეთთან, ჩინეთთან, ტაჯიკეთთან. იგი იწყებს ერთობლივ სამხედრო წვრთნას და ამ მიმართულებით, ეკონომიკურ განვითარებას. ეს ჩვენთვის მომგებიანი არ არის. ამაზე უნდა დავფიქრდეთ. საქართველო არის საზღვარი. თუმცა, რუსეთმა ყარაბაღის საკითხი თუ მოაგვარა, ჩვენ დერეფნის როლსაც დავკარგავთ. ჩვენ აღარ ვიქნებით დერეფანი, ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს ფუნქცია



სამხრეთ-კავკასიის სხვა ქვეყნებზე გადავა და ჩვენ ცაში ხელაპყრობილნი დავრჩებით. აი, ესაა მთელი უბედურება. კი ბატონო, ჩვენ უნდა გადმოვიღოთ დასავლეთიდან რაც გადმოსაღებია, თუკი ასეთი რამ არსებობს, მაგრამ ნუ გადმოვიღებთ იმას, რაც ქართველებისთვის, ჩვენი პოზიციის გაძლიერებისთვის მკვეთრად მიუღებელია.

**— სახეზეა გლობალური პოლიტიკის საჭადრაკო პარტია, სადაც ამერიკამ უკრაინას და საქართველოს გასაწირი პაიკების როლი მიაკუთვნა?**

— პოლიტიკაში არსებობს ნიუანსები. დიდ სახელმწიფოებს ხელში კოზირები უჭირავთ და ჩვენ ერთი ფერის გული ან ჯვარიც რომ გვეჭიროს, უცებ, გაანეიტრალებს და გაანადგურებს. ბუნებრივია, აბსოლუტურად, გეთანხმებით: ჩვენ, პაიკები ვართ. კი, ბატონო, ძლიერი პაიკიც არსებობს, მაგრამ ჩვენ ბევრ ფრონტზე სუსტები ვართ, რასაც ამერიკა შესანიშნავად იყენებს, ასევე, რუსეთიც, ბრიტანეთიც, გერმანიაც და ა.შ. თავად ევროპაშიც არ არის სახარბიელო მდგომარეობა. ევროკავშირი კონგლომერატია. არ შეიძლება ერთიანი ევროპული კონსტიტუცია არსებობდეს. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა მსგავსი და რა მივიღეთ?! ერთიანი ევროპული ეკონომიკაა და რა მივიღეთ?! ერთიანი ფული და რა მივიღეთ?! ჩვენ დიდი ძალისხმევა გვმართებს, რათა ევროპულ სივრცესთან ბალანსირებით დიპლომატიით თავი შევინარჩუნოთ და არ გავიჭყლიტოთ.

საბჭოთა კავშირის დანგრევამ ყველაზე მეტად ზიანი საქართველოს მიაყენა. ჩვენ ნანგრევებში მოვყევით. არ მინდა ამ მესამე მსოფლიო ომმაც ნანგრევებში მოგვიყოლოს. ბუნებრივია, ამერიკისა და ამ პოლიტიკის მწარმოებელი ქვეყნებისთვის, საქართველოს ომში ჩართვა მისაღები და საჭირო იყო. ასე, მეორე კავკასიური ფრონტი გაიხსნებოდა. ერთს გაგიმხელთ: ამ ომში კავკასიის ჩაბმაზეც იყო საუბარი. ეს ამერიკელებს გათვლილი ჰქონდათ. კავკასიაშიც არიან ხალხები, რომელთა გამოყენებაც, ამ ვითარებაში, შეიძლებოდა, ოსები და ჩეჩნები არ მყავანან მხედველობაში, იგეგმებოდა ჩრდილოეთ-კავკასიის ფაქტორის ამოქმედება.

შამილის ბრძოლა, რომელიც 30 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, ინგლისელების მიერ იყო მომზადებული, იარაღსაც ისინი აწვდიდნენ. ევროპელები ყირიმითაც იყვნენ დაინტერესებულნი. ყირიმი ხუთი საუკუნე ბერძნებს ეკუთვნოდათ, მერე თურქებს, შემდეგ — რუსებს. ბოლოს და ბოლოს ვისია ეს ყირიმი? — იყო ბერძნებისაც, თურქებისაც, რუსებისაც. ახლა ვისია, უკრაინის?! უკრაინა, როგორც სახელმწიფო, აქამდე მე არ ვიცოდი. დამისახელოს ვინმემ, რომელი საუკუნიდან არსებობს უკრაინის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს მეფე, ან იმპერატორი. სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს თავისი წარმმართველი — ან სათათბირო, ან პარლამენტი. რუსეთს, გერმანიას, ყველას ჰყავდა მმართველი, უკრაინას? ასე რომ, ნუ ჩავთვლით, თითქოს რუსეთი დაქცეულია. ასეთმა მიდგომამ შეიძლება უკიდურეს კრახამდე მიგვიყვანოს.



ყირიმი უკრაინას კი არ აინტერესებს, არამედ ამერიკას და ევროპას. ამერიკის ინტერესია, უკრაინა მისი გახდეს, რომლის საშუალებითაც, ევროპაზე, გერმანიაზე, საფრანგეთზე და ა.შ. ზეგავლენას მოახდენს. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული. ასევე, თავისთავად, სურს ზემოქმედება მოახდინოს საქართველოზე, კავკასიაზე და ასევე, რუსეთზე. აი, ეს არის ამ ომის მთავარი არსი. ეს შორსმჭვრეტელური პოლიტიკაა. საქმე ისე მარტივად არ არის, ზოგს რომ ჰგონია. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ ეს პროცესი ბაიდენის დაწყებულია. იგი, ამ შემთხვევაში, პაიკია, რომელიც გამოიყენეს. სხვათა შორის, ეს გეგმა



წინა წლებშიც არსებობდა, მაგრამ ვერც კარტერის, ვერც ბუშის, ვერც ტრამპის დროს ვერ განახორციელეს. ბაიდენი სუსტია. იგი სახელმწიფო მოღვაწე საერთოდ არ არის. ამიტომ, გარკვეულმა ელიტამ, ჯგუფმა დაამუშავა, ინფორმაცია მიაწოდა და ეს პროცესი დაიწყეს. თავად ზელენსკის გუნდი მუშაობდა იმისთვის, რომ ყირიმი დაებრუნებინათ, რაშიც აშშ-ც ხელს უწყობდა. რუსეთი იძულებული გახდა ომი დაეწყო. უკრაინაც აიძულეს ეს გაეკეთებინა. ეუბნებოდნენ: შენს გვერდით ვიქნებით, რუსეთს ეკონომიკური სანქციებით მოვახრჩობთო. მაშინ, იარაღის მიწოდებაზე ლაპარაკი არც იყო. რუსეთის მოხრჩობა ეკონომიკური სანქციებით ვერ მოხერხდა, პირიქით, იგი, მოძლიერდა. გაზის და ნავთობის ფასი საკმაოდ მაღალ ნიშნულზე ავიდა. ვის ჰქონდა ეს გათვლილი?! რუსეთის დანგრევა ასე ადვილი არ არის. რომც დაინგრეს, იმდენი ძალა მაინც ეყოფა, რომ ჩვენ შემოგვიბრუნდეს. ამიტომ, აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია



ქართული ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ჩვენ არ უნდა ვიძახოთ: რუსეთი ოკუპანტიაო და აქ შემოსვლის საბაბი არ უნდა მივცეთ. ამ საბაბისთვის წამებია საჭირო. რუსი თბილისში შემოვა, ყველაფერს დაგიბომბავს და ყველაფერს ორ დღეში დაამთავრებს. ჩვენი მშველელი ვინ იქნება?! უკრაინის მშველელი გამოდგა ამერიკა ან ევროპა? — ვერ გამოდგა, ხომ. აბა, საქართველოს მშველელად გამოდგებიან?! ევროპის წინააღმდეგი კი არ ვარ, მაგრამ რუსეთის იგნორირებით, ევროპისკენ სვლა არ გამოვა. ჩვენ დავიღუპებით როგორც ეკონომიკურად მცირე, პოლიტიკურად შერყეული ქვეყანა. სამხედრო ძალები გვყავს ძლიერი თუ დაზვერვა? რის იმედზე ვართ? ჩვენი ოპოზიცია გაგებაში არ არის, როგორ უნდა გამტკიცდეს სახელმწიფოებრიობა. მათ ჰგონიათ, რუსთაველზე გამოვლენ, დაიყვირებენ: რუსეთი ოკუპანტიაო და საქმე გაკეთდება. ვერ გააცნობიერეს, რომ ხალხი მათ არ გაჰყვება რუსეთის გინებით და შინ ევროპისკენ ძახილის სულელური არგუმენტების გამო. დიპლომატები უნდა ვიყოთ და ჩვენს ბედს ბოლომდე გავუძლოთ. ჩვენი ბედი ის არის, რომ ღმერთმა რუსეთი მეზობლად გვარგუნა და მას ვერც გადავაადგილებთ, ვერც დავამარცხებთ. როგორც 2008 წელს არ დადგა ჩვენს გვერდით არავინ, ისე იქნება ახლაც.

**— მეორე ფრონტის გახსნა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამას ხელს უწყობს კელი დეგნანის დესტრუქციული განცხადებებიც...**

— დეგნანი არის ამერიკა, რომელსაც აქ, მილიარდები აქვს დახარჯული. იგი საქართველოთი, კავკასიით, ჯერ კიდევ 1919-20-იანი წლებიდან არის დაინტერესებული, მაგრამ საბჭოთა კავშირის შექმნის გამო მიზანს ვეღარ მიაღწიეს. ამერიკამ ვერაფრით მოახერხა, რომ სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანი და სომხეთი მის მხარეს ყოფილიყო. დარჩა ერთი საქართველო



და ცდილობს, იგი არ დაკარგოს. მისთვის, ჩვენ, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი გზა, ხიდი და კუნძული ვართ, რისი შენარჩუნებაც სურს, მაგრამ ეს მარტივი არ არის. აშშ-ში ფიქრობენ, რომ საქართველოში მათ მყარი მხარდაჭერა არ აქვთ. ამიტომ, ცდილობენ ხელისუფლებაში ის პირი მოიყვანონ, რომელიც მისი მხარდამჭერი იქნება. ასეთი გახლდათ სააკაშვილი. შევარდნაძე მოთამაშე, ავანტიურისტი გახლდათ. იგი, ამერიკელების მყარი მხარდამჭერი არ იყო და ამიტომაც მოიყვანეს.

რაც შეეხება დეგნანის განცხადებებს, ამერიკის ელჩის საშუალებით იწყება პოლიტიკური პროცესი, რათა საქართველოში ცვლილებები მოხდეს. აქ აშშ დეგნანის ხელით მუშაობს. მოგეხსენებათ, რომ ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა ოთხი მუშკეტერი. ხომ საინტერესოა ეს რამ განაპირობა? ასეთი რამ ჯერ არსად მომხდარა, რომ ოთხი კომიტეტის თავმჯდომარეს თანამდებობა დაეტოვებინოს. მათ ამერიკის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ისინი იბრძვიან, რათა საზოგადოების გარკვეული ნაწილი რუსეთისკენ გადახარონ, შეამცირონ ლტოლვა აშშ-ს მიმართ. ამ ოთხეულის საშუალებით ისეთი კაცი უნდა მოიძებნოს, რომელსაც ხალხი გაჰყვება. ვთქვათ, იგივე, ბიძინა ივანიშვილი. ეს ოთხეული ეკლესიასთან უნდა მივიდეს, ნარ-ეკალი გაკაფოს და მათმა ხელმძღვანელმა იქ სანთელი დაანთოს, რაც გამარჯვებას ნიშნავს. ეს ამერიკიდან დისტანცირების პროცესია. მაგრამ მეორე საკითხია, დაუშვებს კი ამას ამერიკა? აი, სწორედ ამიტომ ეძებს ამერიკა თავის კაცს, მესიტყვეს. ამ შემოდგომაზე სურათი ნათლად გამოიკვეთება. 2023 წელი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში განსაკუთრებული წელი იქნება. შესაძლოა „ქართული ოცნებიდან“ ეს ოთხეული ივანიშვილის გადაწყვეტილებით წამოვიდა. მან პოლიტიკიდან წასვლისას თქვა: პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც „ქართული ოცნების“ წიაღში წარმოიშვნენ, განვითარებისთვის ახალი პოლიტიკური პლატფორმა შეიძლება შეიმუშავონო. ბიძინა ივანიშვილს არ სძინავს. მისი ძილი მომაკვდინებელი იქნება მისთვის, როგორც მეცენატისთვის და მოღვაწისთვის. ჩემი აზრით, ამ ოთხი კაცის უკან ვიღაც დგას და თავის დროს ელოდება. ეს გმირი არც ადრე მოვა და არც გვიან. ჩვენ იმ გმირს უნდა დაველოდოთ, რომელიც საქართველოს გადაარჩენს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქართული პოლიტიკური სივრცის მოწამლული „პეიზაჟები“ და „ოთხნი“



კობა არაბული

ერთხელ კიდევ უნდა ვთქვათ: ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ერი არსებობის ურთულეს ფაზაში შევიდა მესამე ათასწლეულში. მრავალ განსაცდელს გადარჩენილი აპოკალიფსური ხიფათის ზღვარზე დადგა...

მას თავს დაატყდა გლობალურ-ლიბერასტული „სინერგიების“ და ზნეობრივი ძალადობის ტალღა-ცუნამი.

ევროპას და ამერიკას ლიბერალიზმისა და ურწმუნოების უმძიმესი ვირუსი შეხვდა და კაცობრიობაზე ავრცელებენ ამ ვირუსს...

კორონაც ხომ მათი ვირუსია, მაგრამ გლობალური „ლგბტ“-პანდემია განუკურნელი აღმოჩნდა. გვაძალებენ და გვაინფიცირებენ ამ ვირუსით. გვაძალებენ და გვაინფიცირებენ კანონთა გარეშე ცხოვრებით, გამოხატვის უზნეო თავისუფლებით...

ამავე დროს სრულიად მიუღებელ, დამღუპველ ომში „გვტენიან“, როგორც „ზედ წასაკლავ“ ზვარაკს“. ვერავინ გაიგო, ვისი ომია ეს, მაგრამ, ეტყობა, ეს მასონური მსოფლიოს შავი „სფინქსის“ ომია ციმბირის მურა დათვთან.

უკრაინის მიწა და კულტურა საკმარისი არ აღმოჩნდა ამ ომის პოლიგონად და იგრძნობა მისი გავრცობის ღია და ქვეცნობიერი სურვილი (ვნება).

ახლა უკრაინის სისხლში და ცოდვაში დგას წელამდე ამერიკა, ევროპა და რუსეთიც და მარიონეტი, სატანა ზელენსკი, რომელიც მშვიდობის ნაცვლად მაპროვოცირებელია ამ ომის და იარაღს ითხოვს ახალ-ახალი სისხლისთვის...

მან იცის: თუკი ქვეყანა დაწყნარდება, მას ჩამოკიდებენ.

●

ევროპა და ამერიკა მსოფლიოში ფაშიზმის პროპაგანდას ეწევა: ამკვიდრებს და განავრცობს მას. როდესაც ის დევნის რუსი ეროვნების ადამიანებს, მათ კულტურას, მათ კერძო ბიზნესს მსოფლიოდან, ნეოფაშიზმის იდეოლოგიას აცოცხლებს, კაცობრიობას ატომური ომის სახიფათო ზღვარზე აყენებს.

გლობალური, მოძალადე მსოფლიო, თავისი მტაცებლური ვნებებით, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მერე, მაინც ვერ მიხვდა, რომ ეს ყველაფერი არაფერია; მათი ამბიციები,Yმათი მილიარდები და ტრილიონები ნულდება კოსმიური კატაკლიზმების ფონზე; არაფერი რჩება ქრისტეს მოძღვრების გარდა; რომ ყველაზე მთავარი სიყვარული და მშვიდობაა ადამიანთა შორის და „ქვეყანასა ზედა“; რომ უმთავრესია არა კაც ჰკლა და არა სისხლი ანთხიო წინაშე ღვთისა.

●

ამერიკა და ევროპა ვერ მიხვდა, რომ უკრაინის მიწაზე სისხლის კალოს არ უნდა ლეწდეს და კაცობრიობას არ უნდა აშანტაჟებდეს ფაშისტური ტირანიით...

●

„სამყაროს ცენტრი არის ყველგან, პერიფერია — არსად“, — ამ გენიალურ ფრაზას იტყვის გენიალური პასკალი. შარლ მიშელები, ჯონსონები, ბაიდენები და მისთანები ვერ მიხვდნენ იმას, რომ სამყაროს ცენტრი არის ყველგან და ეს არის უფლის „ადგილი“ სამყაროში...

მავანს სამყაროს ღერძი ამერიკაში თუ ბრიუსელში, ან ლონდონში ჰგონია, არ არის ასე, სამყაროს ცენტრი შეიძლება ვაჟა-ფშაველას ქოხი იყოს ჩარგალში, ან ციხე-გოჯის ნანგრევებთან, ხოლო საქართველოს კაცობრიული ცივილიზაციის დასაბამიერ ქვეყანას, უძველესი ამბანის შემქმნელს, „აბიტურიენტადაც“ არ მიიჩნევენ და აბუჩად იგდებენ ამერიკელი და ევროპელი ანგლოსაქსი ბარბაროსები.

ამავე დროს ხადუს უძველეს სალოცავში, ცროლის მთაზე შემდგარი ხევსური ქადაგი ასეთ მისტერიას აღავლენს: „დიდება შენდა, ცროლის წვერის ანგელოზო, დედამიწის შუა სამანზე მდგომო!“ — ე. ი. აქ დედამიწის „შუაგულია“, ცენტრია.

ახლა მოვიტან მეტად საყურადღებო ამონარიდს. გლდანის ეკლესიის მოძღვრის, მამა ბასილის ეპისტოლედან და თემას მერე გავაგრძელებ.

მამა ბასილი მკალავიშვილი ქადადგებს: „მინდა ვამცნო საზოგადოებას — საქართველოს მოღალატეთა არმიას დღეს ჰყავს სამი ბელადი: დეგნანი, ლომჯარია და ზურაბიშვილი“...

მართლაც, რომელი სამი შხამიანი მდინარის დასაბამია ეს სამი დედაკაცი, ქართულ პოლიტიკურ ველს რომ წამლავს?!

ვინ ჩამოსხა ეს დესანტი ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე ურთულეს დროში თავისი მომყოლებით: კლანებით, კლონებით, არასამთავრობოთა ბატალიონებით, რომლებიც კატეგორიულად მიუღებელია ქართული ცნობიერებისთვის, მისი კულტურისთვის, სახელმწიფოს არსებობისთვის; ეს ჯოგები კატეგორიულად ცალსახად ასაკრძალი და გადადევნია ერის საარსებო სივრციდან, როგორც სარეველა ყანიდან.

●

ირაკლი ღარიბაშვილი ქართველი ერისთვის ყველაზე მძიმე, კრიზისული დროის პრემიერია, რომელიც, ფაქტობრივად, მესამე ომის და ურთულესი პანდემიის პირობებში ახერხებს ოკუპირებული ქვეყნის ფეხზე დაყენებას, მისი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სახის (იმიჯის) შენარჩუნებას...

სწორედ მას შემოუჩნდნენ და შემოუსხდნენ ყურის ძირში მოღალატენი, როგორც ფოლკლორი იტყვის: „მოუსხდნენ მოღალატენი მარჯვენა ყურის ძირსაო“.

სამი მსტოვარი: ერთი მათგანი ოკეანისგაღმელი კელი დეგნანი (ამ ტიპის ელჩი ამერიკას საქართველოში არ უნდა ჰყავდეს. მას ოდნავ მაინც უნდა ესმოდეს, რა ცივილიზაციის, ენის და კულტურის ქვეყანაშია!).

ამ ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს შიგნიდან ციხის გამტეხი პრეზიდენტი. რას იზამ, ეტყობა, ესეც ბედისწერაა — ყველა ასეთი გამოდგა: მეორეც, მესამეც, მეოთხეც... მართლაც საგანგაშო მოვლენაა.

ჩვენდა სავალალოდ, ვერ ვიშოვეთ ვერც ერთი წესიერი ქართველი ადამიანი საპრეზიდენტოდ.

გვახსოვს, როგორ გაყიდა ქვეყანა სააკაშვილმა, 120 სოფელი ჩააბარა რუსეთს და ისტორიული პროვინციები და ქვეყანა XXI საუკუნეში ოკუპირებულად აქცია.

გვახსოვს, როგორ უღალატა მეორე დღესვე ყურით მოყვანილმა მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილს და ღალატის ფილოსოფიით ჩააფლავა სახელმწიფო საქმეები.

ყველას გვახსოვს, როგორ მიჰყავდათ და დაჰყავდათ სალომე ზურაბიშვილი „ყურით“ ოცნების მხარდამჭერებს.

და, აჰა, ეგეც და მისი ღალატის ფსიქოლოგია: „ღარიბაშვილი გაემიჯნოს პარლამენტიდან გასულ ოთხ დეპუტატსო“.

რატომ და როგორ უნდა გაემიჯნოს პრემიერი პიროვნებებს, რომლებიც თვითონ გაემიჯნენ და გავიდნენ პარლამენტიდან თავისუფალი მოქმედებისთვის.



გამიჯნულთათვის გამიჯვნას ითხოვს პრემიერისგან უვიცი პრეზიდენტი...

ქალბატონო პრეზიდენტო, რატომ თქვენ არ მოუწოდებთ ამერიკის ელჩს, რომ ჯერ ის გაემიჯნოს ნაციონალ-ფაშისტურ-რევანშისტულ კლანებს, ლგბტ კლანებს და სექტებს საქართველოში, რომლებიც რყვნიან და ანგრევენ ქართველი ერის ცნობიერებას, ებრძვიან მის კულტურას და ტრადიციებს, ეკლესიას და პატრიარქს, ხიფათს უქმნიან სახელმწიფოს არსებობას;

შეეკითხეთ ელჩს, რატომ არ ემიჯნება ამ პროცესებს და უზნეობებს და მერე მოუწოდეთ პრემიერს, თუ კიდევ დაგრჩებათ ამის სურვილი. მაგრამ, რაკი თქვენ არ „გაგიგონიათ“ ქართველთა ომში ჩათრევის მოწოდება, ვერ ვერაფერს გაიგონებთ.

●

სალომე ზურაბიშვილი აღმოჩნდა სრულიად გაუნათლებელი სნობი და ერის ბედისწერის ვერშემცნობი, თანაც უმადური, სამწუხაროდ, რომლის მოყვანასა და მხარდაჭერაში მეც მიდევს წილი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას.

სრული ნონსენსია — შეუსაბამო და შეუფერებელი სახალხო დამცველისთვის ვინმე ლომჯარიას ტიპაჟი.

ლიბერასტების ფაცხიდან გადმომხტარი ეს თხა მართლაც სამარცხვინო მოვლენაა.

ამ ტიპის კლონები თუ ვერ ამოშალა ქართველმა ხალხმა თავისი ცნობიერებიდან და არჩევანიდან, ჩვენ არაფერი გვიშველის.

სახალხო დამცველად წოდებული ლომჯარიას ტიპის ჰიბრიდი არ უნდა იყოს ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში მისი სულიერი პეიზაჟის მჯღაბნელი.

●

მთლიანობაში საგანგაშო და სამარცხვინოა ასეთი სექტანტურ-ფაშისტური ოპოზიცია რომ ჰყავს ქვეყანას, ღალატის სინდრომით გაჟღენთილი. მათ ხომ რუსეთთან ერთად მოახერხეს საკუთარი ქვეყნის ოკუპაცია და გაყიდვა.

●

ახლა პირველსავე სიტყვას მოვალ და ვკითხავ კელი დეგნანს, თუ წაუკითხავს ფოლკნერი, ვულფი, ჯოისი, უიტმენი, სტაინბეკი, ეცოდინება, როგორ ხედავდნენ ამერიკის ბედს დიდი მწერლები.

დეგნანი, ვგონებ, ვერ გრძნობს და ვერ ხედავს ამერიკისა და კაცობრიობის ბედისწერას, ის დასაქოქი ფორთოხალივით მოქმედებს, მექანიკურად... მით უფრო ვერ ხედავს საქართველოს მისიას და ფუნქციას ამ სამყაროში, თუნდაც, როგორც გერმანიის ელჩი...

შევახსენებ დეგნანს, რომ უიტმენს აშფოთებს ამერიკის სახელმწიფოს კონგლომერატიული მასა, რომელიც ერად ვერ იქცა და კიდევ ვინ იცის, რამდენი საუკუნე დასჭირდება მის ერად ჩამოყალიბებას.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამერიკის გლობალურ-კონგლომერატიული სახელმწიფო ვერ ჰგუობს ისტორიული ცივილიზაციის მქონე ერებს, ანგრევს და ცდილობს მათ შეცვლას და გადაკეთებას.

●

ამერიკამ თითიდან გამოწოვილი ცრუ მიზეზით ნატოს ავიაციით დაანგრია „ახალი ბაბილონი“ — ერაყი XXI საუკუნეში.

— დაანგრია ბაალბეკი...

— სირია, ნაწილობრივ, რუსეთმა გადაარჩინა.

— მიწასთან გაასწორა კადა-





ფის სახელმწიფო (ახალდაბადებულ ბავშვს აკვანში მილიონს რომ უდებდნენ). ამოხოცეს ის და მისი ოჯახი. კადაფი ვერ მიხვდა, თუ რატომ კლავდნენ.

●

ქალბატონო დეგნან, თქვენც ამ პოლიტიკური სივრციდან გადმოტყორცნილი ელჩი ბრძანდებით, აქტიური ქალბატონი, მაგრამ გაჩხიბული ამ გლობალურ-ლიბერასტული პოლიტიკით...

ამერიკული დემოკრატია ფარსად, ფსევდოდემოკრატიად აქციეთ, როცა ტრამპს არჩევნები გაუყალბეთ და მილიონობით ხმა მოპარეთ.

თქვენმა ლიბერასტულმა ცნობიერებამ არ იგუა რესპუბლიკელი, პატრიოტი, ქრისტიანულ ნიადაგზე მდგარი პრეზიდენტი და განდევნეთ იგი. მას ახლაც დევნით.

ამ დროს ჩვენ დემოკრატიას და სასამართლოს გვიწუნებთ?!

ამ კარის რეზიუმეს სახით ისევ და ისევ ამერიკელი ელჩის გასაგონად ვიტყვი: ხელისუფლების ნაციონალების დამნაშავე სექტით ჩანაცვლება შეუძლებელია. მათი მეორედ მოსვლა და მობრუნება უტოპიაა.

მათი მოყვანის მსურველთ და მომყვანთ უნდა ესმოდეთ, რომ ეს ნიშნავს ერისა და სახელმწიფოს კატასტროფას, მის გაუქმებას, მისი მორალის და მენტალობის წაშლას...

ამ „უსამშობლო" „ურწმუნოთა" მხარდამჭერმა ლობებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ ქართული სახელმწფოს მმართველობაში მოსვლას საზოგადოება არ დაუშვებს

ამდენადვე, არ არის გასაკვირი თქვენი მხარდაჭერა „ლგბტ"-ულტრალიბერალი, ფაშისტურ-რევანშისტული კლანებისთვის, პრაიდებისთვის და არასამთავრობო „კლასტერებისთვის", რომლებიც სახელმწიფოში სახელმწიფოდ გვიქციეთ.

თქვენ ვერ გრძნობთ თქვენი ქცევის შეუსაბამობას ქრისტეს კვართის მფლობელ, ღვთისმშობლის წილხვედრ პირველ ქრისტიანეთა მორალთან...

ვერ ხედავთ ქართველი ერის ისტორიას, რომელმაც დიადი სახელმწიფო შექმნა ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს (III ს. ჩვ. წ. აღ-მდე) და ადრე შუასაუკუნეებში (XII ს.) დემოკრატიული პარლამენტით, „ვეფხისტყაოსნით" და არა კაცის კვლით, ანუ სიკვდილის დასჯის გაუქმებით და მსოფლიოში დემოკრატიის ოაზისი შექმნა.

ამერიკა და ევროპა ხომ ახლაც, XXI საუკუნეში, სიკვდილით სჯის კაცობრიობას. უკრაინის მიწაზე სისხლიან კალოს ლეწავენ და დემოკრატიობანას თამაშობენ.

თქვენ, ამერიკა და ანგლოსაქსური ევროპა, აწარმოებთ უკრაინის მიწაზე რუსეთის წინააღმდეგ მესამე მსოფლიო ომს.

თქვენ არ აჩერებთ ამ ომს, ვინაიდან თქვენი „ომის მანქანები" და ლობები სხვის ომში, სხვის მიწაზე, სხვისი სისხლით „გამოიმუშავებენ" დოლარების ურიცხვ რაოდენობას.

●

თქვენ უნდა მიხვდეთ, ქალბატონო დეგნან, რომ საქართველოს სხვა ტიპის თავისუფლება და მხარდაჭერა სჭირდება. არც თქვენი „ომი და მშვიდობა" სჭირდება მას და არც ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა", არც სტაინბეკის „მრისხანების მტევნები" აყრილთა და ლტოლვილთა ტრაგედიებით და არც თქვენი პროვოკატორების აქ ყოფნა...

თქვენ მთელი აღმოსავლეთი და ახლა უკრაინა ლტოლვილთა ბანაკებად, აყრილ ერებად აქციეთ...

●

მოვუწოდებ „ოთხთა კავშირს" — შესანიშნავ პარლამენტარებს, გააძლიერონ „ხალხის ხმა", მათი მოქმედება უკვე იქცა ერთგვარ მეხამრიდად და ის თანდათან იქცევა ეროვნული ხსნის ენერგიად.

ნიჭიერი და პატრიოტი ქართველების კავშირი იქცევა ისეთ ძალად, რომელიც შეძლებს „რაღაცის" გადარჩენას და ეს „რაღაცა" არის ყველაფერი.



ირაკლი ვაშაყმაძე

# უფლის მგმობელთ



რად შეიძულე უფალი,
მშობელი, ღვთისმშობელი,
პატივდებას და წყალობას
მაცილისაგან ელი.

რაისთვის დაგმე წინაპრის
ტაძარი მადლმოსილი,
სულში რაისთვის ჩაიქრე
ცით გადმოსული სხივი.

მანათობელი გულის და
მანათობელი სულის,
უსრულებ უფლის მოძულეს
ყველა ნატვრას და სურვილს.

ცას მოსწყდი, გადასხვაფერდი,
აღარა ჰგავხარ ქართველს,
ერთმანეთისგან ვერ არჩევ
წკვარამ წყვდიადს და ნათელს.

გადაგიბრუნდა ტვინი და
ბოროტი გონსაც გართმევს,
ახლა ყვავს არწივს ეძახი,
ყვავის ბახალას — მართვეს.

2 სექტემბერი, 2022 წ.

# ჩამოვიდნენ, ნახეს, გაოგნდნენ, წავიდნენ!

ჩამოვიდნენ ამერიკიდან ფსიქიატრიაში განსწავლული კაცები და დადეს დასკვნა, მიხეილ სააკაშვილი გიჟიაო. სამნი იყვნენ, ტელევიზორში აჩვენეს, იცინოდნენ, კაი ხასიათზე იყვნენ, უთუოდ კარგად გადაუხადეს.

ეგენი იმნაირი განათლებულები არიან, ზოგიერთს ჯილდოებიც კი აქვს მიღებულიო, - თქვა მიხეილის დედამ და ძვირადღირებული სათვალე გაისწორა, რომელიც ცოტა დასცერავებოდა.

ცხონებული თინა ძალო გამახსენდა, ერთხელ თავის ახლადმოყვანილ რძალზე ჰკითხეს, როგორი გოგოაო? კარგი, კარგი, კარგი, თქვენ წარმოიდგინეთ, „კნიჟკაც" აქვსო. „კნიჟკაში" დიპლომს გულისხმობდა. ჰოდა, ახლა დედა გიულიც თინა ძალოსავით იძახის, ამერიკიდან ისეთი ექსპერტები ჩამოვიდნენ, „კნიჟკებიც" აქვთ, ძალიან მაგარ დასკვნას დადებენ, ანუ დაამტკიცებენ, რომ ჩემი შვილი მართლა გიჟიაო.



რათ უნდა მაგას კვლევა, ძიება, ექსპერტი და მისი ფართო განსწავლულობა? აგერ, ედუარდ შევარდნაძის ყოფილმა მრჩეველმა, ცხონებულმა თემურ მირიანაშვილმა ჯერ კიდევ 2001 წელს მიახალა სააკაშვილს მთავრობის სხდომაზე, თქვენ ცნობილი გიჟი ბრძანდებითო. რა უქნეს ამის შემდეგ მირიანაშვილს? ხეირი აღარ აყარეს, ყველამხრივ შეავიწროვეს, დაჩაგრეს, ინსულტამდე მიიყვანეს და იმ ქვეყანასაც გაისტუმრეს. არადა, კაცმა დასაწყისშივე დასვა ზუსტი დიაგნოზი და თქვა ის, რის აღიარებასაც ახლა სააკაშვილის ოჯახის წევრები, მომხრეები და დაინტერესებული პირები ითხოვენ. გასაგებია, ამათ ეს „აღიარება" რა ავანტიურისთვისაც სჭირდებათ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ადამიანი, რომელიც დღეს ე.წ. ტუსაღია და ძვირადღირებული კლინიკიდან ვერ გამოჰყავთ, არა მხოლოდ გიჟია, ძალზედ საშიში ავადმყოფიც გახლავთ.

კარგი, დავუშვათ, თემურ მირიანაშვილს რამე მოეჩვენა, არ იყო ფსიქიატრი და რამე შეეშალა, 2006 წელს ევროპის შვიდმა ავტორიტეტულმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ დასკვნა რომ დადო, არც ეგ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის სანდო და ყურადსაღები? რასაკვირველია, ქართველი ხალხი ჯერ მირიანაშვილის განცხადებას უნდა დაეფიქრებინა, შემდეგ კი ამ შვიდი კლინიკის დასკვნას უნდა აეფორიაქებინა, მაგრამ არც ერთი მოხდა, არც მეორე, ჩამოვიდა რუსეთის დედაქალაქიდან ივანოვი და დაგვისვა ხოხონჯი, თან 87%-ითაც ავგარჩევინეს და შემდეგ დემოკრატიის შუქურადაც გამოგვაცხადებინეს.

„სააკაშვილი თავისი ფსიქიკის მძევალია"... „ანგელა მერკელი სააკაშვილის ჭამამ გააოგნა"... „როდის იკლავდა თავს სააკაშვილი"?.. „პრეზიდენტის რეზიდენციას უცხოელები კალიგულას სასახლეს უწოდებდნენ" - ასეთი ამონარიდებით იწყება 2006 წელს გამოქვეყნებული დასკვნა, რომელშიც, როგორც ჩანს, ვიღაცამ სოლიდური თანხა გადაიხადა.

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ეს დასკვნაც რომ არ ყოფილიყო, მიხეილ სააკაშვილს ისედაც ეტყობოდა „არამიწიერობა" და არაამქვეყნიურობა. თქვენი არ ვიცი, როდესაც ძველ ვიდეოჩანაწერებს ვნახულობ, მე შიში მიპყრობს - ალბათ კიდევ დიდხანს ბოლომდე ვერ გავაანალიზებთ, რას გადავურჩით და რა საფრთხის წინაშე ვიდექით. რა ჩანს ძველ ვიდეოჩანაწერებში? არანორმალური გამოხედვა, უცნაური მიხვრა-მოხვრა, დაუხვეწავი მოძრაობები, ღორივით თქვლეფა სუფრასთან, არაბუნებრივი სიცილი, უაზრო სიტყვა-პასუხი... ალბათ გახსოვთ, როგორ ღადაობდა 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, როცა ჩვენს თავზე რუსული ბომბები ცვიოდა.

საინტერესოა, რომელ წამყვან კლინიკებს ეკუთვნით აღნიშნული დასკვნა? ესენია: ტონსბერგის (ნორვეგია) ფსიქიატრიული ცენტრი, ოსლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი, ფინეთის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, კიოლნის ნერვული დაავადებების ცენტრი, ჟენევის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, ვენის ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტი და ამსტერდამის კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტი. სხვათა შორის, ამ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ დაწერილი დასკვნა წინასწარმეტყველურიც კი აღმოჩნდა - მათ 2008 წლის ომამდე 2 წლით ადრე ასეთი რამ ივარაუდეს: „ძალაუფლებისაკენ ლტოლვამ სააკაშვილს შეიძლება დაუკარგოს სიფრთხილე და გადაწყვეტილებები სახიფათო აღმოჩნდეს. მისგან მოსალოდნელია პრობლემების პროვოცირება. მათ შორის, პოლიტიკური და საომარი კონფლიქტიც".

ხედავთ? 2006 წელს გვითხრეს, ამას ისეთი გადახრები აქვს, შეიძლება საომარი კონფლიქტიც კი გამოიწვიოსო. კი, ბატონო, ჩვენ კი ვიძახით, რომ ომი რუსეთმა დაიწყო და რა თქმა უნდა, დაიწყო კიდევაც, მაგრამ კარგად გვახსოვს, როგორი აცუნდრუკებული იყო იმ დღეებში, როგორ გამოტენა რამდენიმე ავტობუსი ბუშტებით, დროშებით, საწუწნი კანფეტებით და მოემზადა ცხინვალის ასაღებად. თან გამოაცხადა: დიახაც, მე გავეცი ბრძანება, დაკარგულ ტერიტორიებზე რომ აღვადგინოთ საქართველოს იურისდიქცია, თურმე რუსეთთან ომი არც ისეთი რთული ყოფილაო. რომელიღაცა ჩამოწერილ გენერალს ფული გადაუხადეს და ეგონათ, ტერიტორიებს დაიბრუნებდნენ. ბოლოს იმ გენერალს იმაზეც კი შეუთანხმდნენ, ბარემ გორის ცენტრში სტალინის ძეგლიც აგვიფეთქე და ერთ მილიონს მოგცემთო. რამდენიმე კურდღელი მოკლეს, ამ დედებმოტ... ნულებმა (უკაცრავად, სხვანაირად ვერ ვიხსენიებ!), იარაღი ჩამოწერეს, ფული გაათეთრეს, 4 მილიარდი ევროპა-ამერიკიდან მიიღეს, თავიანთ ანგარიშებზე გადარიცხეს, კალოშებიანი კეზერაშვილი მილიარდერად აქციეს, თანხები ოფშორებში გადაამალინეს. რაც მთავარია, 12 აგვისტოს რუსთაველზე ხალხის გამოშტერებული მასა აზეიმეს, ცოცხალ ჯაჭვში ჩააყენეს და ტაშიც აკრევინეს. ეს კიდევ არაფერი, გამოთაყვანებულ კობა ნაყოფიას 20 მილიონი გადაახდევინეს, ჰოლივუდის რეჟისორ-მსახიობები დაასაქმეს, უნიჭო ფილმი გადააღებინეს და ეს კრეტინი სააკაშვილი გმირად შერაცხეს. თუმცა ვერ შეირაცხა, ეს ჩემის ვართაპეტიანი, გმირად, არ გამოითალა დამპალი ხისგან სალამური. აი, ბატონებო და ქალბატონებო, ვიმეორებ, ჯერ კიდევ 2006-ში გვითხრეს მსოფლიოს ავტორიტეტულმა ფსიქიატრიულმა კლინიკებმა, წინ დიდი საფრთხე გელოდებათ, რამე იღონეთ, თორემ დაიღუპებითო. ვერაფერი ვიღონეთ, ვერაფერი გავაკეთეთ, პირიქით, 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი ღალატის შემდეგ ერთი არჩევნები კიდევ ჩაგვიტარა და ვითომ მოიგო, ვითომ გაიმარჯვა. აქაც დავუკარით ტაში, აქაც დავიწყეთ მისი ხროვის „გაპრავება" და რომ არა ბიძინა ივანიშვილი, დღეს რა მდგომარეობაში ვიქნებოდით, არავინ იცის.

ევროპელი ფსიქიატრების დასკვნაში არის დიაგნოზი: „ძლიერი პარანოიდული აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი".

ფსიქიატრებმა სააკაშვილის პიროვნების ფსიქოლოგიური კვლევა მისი ბავშვობით დაიწყეს და სწორედ იპოვეს იმ გადახრების მიზეზი, რაც დიაგნოზში აისახა: „რადგან სააკაშვილის მშობლები ერთად არ ცხოვრობდნენ, ბავშვი დედას მიეჯაჭვა და პატარაობისას მიღებული ემოციური ტრავმის გამო, რომელიც მამას უკავშირდებოდა, აგრესიულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მამინაცვალთან, თანატოლებისგანაც გარიყული აღმოჩნდა".

ახლა ხვდებით, რატომ ითხოვს ხოლმე ამხელა ოქლაქი, დედა მინდა, „კომბლე" რომ წამიკითხოსო? ბოლო დროს მცოდნე ხალხმა გამოთქვა ვარაუდი, რაც ამას, ამ ყოფილ სარდალს სჭირს, ეს სულ დედამისის ბრალიაო და არის კიდევაც. გიულდედულის საქციელი არის რაღაცნაირი, არაადეკვატური, სხვაგან მყოფი, რაც, როგორც ჩანს, ტრაგიკულად აისახა შვილზე (შვილებზე).

ამონარიდი დასკვნიდან: „სააკაშვილი არის შინაგანად დაძაბული, ნევროზული, ეჭვიანი და ემოციურად გაუწონასწორებელი. მისი ჟესტიკულაცია, სიარულის მანერა და აღნაგობა ნორმებიდან ამოვარდნილია. უჭირს მობილიზება, თავისი გამოსვლების სწორად ორგანიზება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასასურველ კითხვებს უსვამენ. ამ დროს იბნევა, ვრცელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს იშველიებს, რომლებიც შორს არის პასუხისგან. ერთი თემიდან მეორეზე გადადის. ამით ცდილობს ოპონენტის მოგერიებას და დაბნევას".

აჰა, არ არის ნაცნობი სურათი? არ არის ემოციურად გაუწონასწორებელი და ზღვარს გადასული? სხვათა შორის, სააკაშვილი ყოველ მომენტში იყენებს თავის ვირეშმაკულ ზღვარგადასულობას - ლამის ერთი წელიწადია, სასჯელს იხდის და აქედან ერთი კვირაც არ მჯდარა საკანში, წამოიტრაკა კლინიკაში და არის თავისებურ აღქმებში, ხან უკრაინიდან უტევს რუსეთის ჯარებს, ხან ცხინვალის მხრიდან. გასაგებია, რომ სააკაშვილი საშიში ავადმყოფია, მაგრამ ამავე დროს ვირეშმაკიც გახლავთ, იგი არაფერს ერიდება, ოღონდაც თავისას მიაღწიოს, ოღონდ თავისი გაისწოროს, ოღონდ თავისი გაინაღდოს. ახლაც ამ პროცესშია, კედელთან მიმწყვდეული ცდილობს, ყველაფერს კადრულობს, რათა სადმე გაძვრეს და შემდეგ იქიდან ენა გამოგვიყოს.

მე ვფიქრობ... და ალბათ ყველას გიფიქრიათ, იქნებ სჯობდეს და საერთოდ მოვიშოროთ თავიდან ეს უკვე ჭირად ქცეული არსება? იქნებ ასე მაინც დავასვენოთ ჩვენი ქვეყანა? მისი ადვოკატები შუამდგომლობენ, სასჯელი გადავუვადოთო, ანუ ერთი, ორი, სამი წლით გავუშვათ, სადმე იმკურნალებს, ჯანზე მოვა, დაბრუნდება და ისევ ჩაჯდება სატუსაღოშიო. ახლა, როგორ გგონიათ, ეს რომ სადმე გაძვრეს, შემდეგ დამბრუნებელი და ციხეში ჩამჯდომია? არამც და არამც, არ დაიჯეროთ. კი, ბატონო, თუნდაც აღარ დაბრუნდეს, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია, თუ დაგვასვენებს, ხომ ღირს გაშვება? აი, ეგეც არ ვიცით, მაგაშიც არ ვართ დარწმუნებული, დაგვასვენებს? ე.წ. თავისებურ პოლიტიკას შეეშვება? შეიძლება აქ დავსვათ შეკითხვა: ეგეთი მთხლედ ქცეული ვიღას სჭირდება, უკვე „გაფუჭებულმა" რაღა პოლიტიკა უნდა აკეთოსო? ეს ძალზედ საინტერესო შეკითხვაა, მართლაც, რაღა პოლიტიკოსობას უნდა მიჰყოს ხელი უკვე ამორტიზებულმა და გაფარჩაკებულმა სააკაშვილმა? ნორმალურ საზოგადოებაში მას არ ექნებოდა არანაირი მხარდაჭერა, მაგრამ ვინაიდან, ჩვენ საქმე გვაქვს ნაწილობრივ დეგრადირებულ საზოგადოებასთან, გონებრივად შეზღუდულ ნაწილთან, მას ყოველთვის ექნება საშუალება, რაღაც დოზით „იმოღვაწევოს". მაგალითად, სააკაშვილმა რაც არ უნდა ჩაიდინოს, თუნდაც თავზე დაიფსას და აქეთაც თავისიანებს სულაც ზედ დააკუკნოს, ბადრი შუბლაძისთვის, ნუგზარ წიკლაურისთვის, ეკა ხერხეულიძისთვის, დავით კირკიტაძისთვის, რომან გოცირიძისთვის, ზატია დეკანოიძისთვის და ამათნაირებისთვის სულერთია, ისინი ყოველთვის „გააპრავებენ" და გმირად შერაცხავენ. არადა, ტიპი საერთოდ დაიშალა, ტრაწად დაიღვარა, დედული უნდა, თავთან უნდა დაუჯდეს და „კომბლე" წაუკითხოს, რომლის შინაარსსაც თავისებურად გაიგებს.

ბოლო-ბოლო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ შემთხვევაში წინა პლანზე მაინც დგას სახელმწიფოს ავტორიტეტი და იმავე სახელმწიფოს ინტერესები, ანუ მართლმსაჯულების სიმყარე - იმის გამო, რომ ის ოდესღაც მთავარსარდალი იყო და უნდა გავუშვათ, ეს ნამდვილად არ არის ნორმალური არგუმენტი, ამ მიდგომით სხვა პატიმრებიც უნდა გავაგზავნოთ კურორტებზე, სხვებმა რა დააშავეს, სარდლებად რომ არ მუშაობდნენ, არ უნდა დავაფასოთ? გასაგებია, კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადავადებას, მაგრამ დღემდე იმდენად მყიფე დასკვნები დაიწერა, არგუმენტად არც ერთი არ გამოდგა.

საოცარია... დაუკვირდით, ყველა ამტკიცებს (მათ შორის ჩვენც), რომ მიხეილ სააკაშვილი ფსიქიატრიული თვალსაზრისით შეშლილია, ანუ თავის მატორზე თავიდანვე ვერ არის, მაგრამ ამავე დროს ვერ იწერება ისეთი დასკვნა, რომ მან თავისი გაისწოროს და როგორმე აქედან გაძვრეს. დიახ, ის ნამდვილად არის მეტად საშიში ავადმყოფი, მაგრამ ამავე დროს არის გამოუსწორებელი ავანტიურისტი. აი, აქ დგებიან მედიკოსები დილემის წინაშე, მათ ვერ გაუგიათ, სად იწყება ტყუილი და სად არის სიმართლე, სად იწყება სიმართლე და სად სრულდება სიცრუე, სააკაშვილის შემთხვევაში ერთმანეთშია აზელილი ტყუილი და მართალი, ავადმყოფობა და ჯანმრთელობა - ტიპი რომ 50 დღე იშიმშილებს და ერთი გრამი არ მოაკლდება, ტიპი რომ სუშიდან და შაურმიდან იმპორტულ ფაფებზე გადავა და იტყვის, ვშიმშილობ, ფეხზე ძლივს ვდგავარო, იმას აღარაფერი დაეჯერება. ერთია ნამდვილი ავადმყოფობა და მეორეა გამოგონილი სიბრიყვეები. ჰოდა, ამ ნამდვილ ავადმყოფობას, ანუ ქრონიკულად ალაოდ ყოფნას აქაც მიხედავენ, ანუ ბოლო-ბოლო, ხონის ფსიქიატრიულშიც შეაყოვნებენ, გააყუჩებენ, ამას არ სჭირდება ბოდრუმები და სხვა ცნობილი კურორტები. სხვათა შორის, სააკაშვილის მიერ ბოლოს აყვანილმა „ადუკანდტმა", შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, ჩემ პაციენტს კი არა და... ჩემ კლიენტს 14 სახის დაავადება სჭირსო. არ მჯერა, ეგ ცოტაა, მაგას 50-ზე მეტი რაღაცა სჭირს, ზოგიერთი ისეთია, მსოფლიო მედიცინამ არაფერი იცის.

დაველოდოთ სააკაშვილის თავზე დატრიალებული მოვლენების შემდგომ განვითარებას, დაწერონ ახალი დასკვნა ამერიკელმა ექსპერტებმა, რომლებსაც (სხვათა შორის) თურმე „კნიჟკებიც" აქვთ. ისე, იცოდეთ, მაგათ რაც არ უნდა დაწერონ, ბოლო ვერდიქტი მაინც სასამართლომ უნდა გამოიტანოს, თუ მოსამართლე ერბოწონაშვილმა (გვარი პირობითია) თქვა და ხის ჩაქუჩი მაგიდაზე დაარტყა, სააკაშვილი ვერსადაც ვერ წავა, რა თქმა უნდა, ვერ წავა და ვერც უნდა წავიდეს!

**ბელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „თუ ვინმე მომკლავს, ეს იქნება ის ძალა, რომელსაც მე ვამხელ და ვუპირისპირდები“



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, პრეზიდენტმა მთავრობას დასავლეთისადმი დამოკიდებულების შეცვლისკენ მოუწოდა. რას ფიქრობთ, ამ ყველაფერზე?**

— მთავარი იცით რა არის? — სალომე ზურაბიშვილს გათავისებული არ აქვს, რომ საქართველოს პრეზიდენტია. დიახ, ეს განცდა მისგან შორსაა. იგი, თავის ნომერ პირველ ნავთსაყუდელად ევროპას, საფრანგეთს მიიჩნევს. შედეგად, საქართველოს მიმართ კი არ გრძნობს თავს ანგარიშვალდებულად, არამედ ევროპის. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ იგი საქართველოში სხვა, უცხო ქვეყნის ინტერესებს ლობირებს. მისთვის საფრანგეთი უფრო მშობლიურია, ვიდრე საქართველო. მას სამშობლოს განცდა არ აქვს, არ ესმის, რომ საქართველო სამშობლოა. ასე, რომ მისი გაპრეზიდენტება დიდ შეცდომად მიმაჩნია. დიახ, ზურაბიშვილი ევროპის, საფრანგეთის ერთგულია და აქ, მის ინტერესებს ლობირებს. საქართველო მისთვის საცხოვრებელი ადგილია და არა სამშობლო.

**— როგორ ფიქრობთ, რა გზას უნდა დაადგეს დღეს საქართველო?**

— დღეს, გაბატონებულია ფსევდო-ლიბერალიზმი, რომლის უკან, ფაშიზმის მსგავსად, უზარმაზარი ძალა დგას. ვერ გეტყვით, რამდენად გააჩნია საქართველოს უნარი, რათა ამ ძალის წინაშე გაილაშქროს. ჩვენ, დასავლეთში ბევრი პარტნიორი ქვეყანა გვყავს, მაგრამ რატომღაც ეს არ აისახა არც ქვეყნის ეკონომიკაზე, განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებაზე და ა.შ. ძირითადად, ყოველივე, იმდროინდელი ჩინოვნიკების კეთილდღეობაზე აისახა. მათ საზღვარგარეთიდან შემოსული გრანტები კორუფციული სქემით გადაინაწილეს, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის ინტერესებისთვის მოეხმარათ. შედეგად მივიღეთ უზარმაზარი ვალები, რაც შთამომავლობამ უნდა იხადოს. გრანტებიდან სარგებელი მინიმალური გვაქვს. როგორ უნდა ებრძოლოს ასე დაუძლურებული ქვეყანა ამხელა მონსტრს, რომელსაც ზურგს უზარმაზარი ეკონომიკა უმაგრებს. ლიბერალიზმი, აშშ-დან დაწყებული რუსეთით დამთავრებული, მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია. უმეტეს ქვეყნებში, მას ძალაუფლება ხელთ უპყრია. მაგალითად, ევროპის ხელისუფლებები, ფაქტობრივად, სრულად არის მოცული ლიბერალური ძალებით. ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციაც ფსევდო-ლიბერალურია. რატომ არის ასეთი დიდი შეტევა საქართველოზე? — იმიტომ, რომ სწორედ ამ სექტის დაჯგუფება მართავდა ჩვენს ქვეყანას მრავალი წელი. 2012 წელს კი ლიბერალებს საქართველო მმართველობიდან გამოეცალათ. დღესაც დასავლეთი ამ ზნეობისგან დაცლილ კრიმინალებს — ნაცებს ლობირებს. ამის მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: ნაცები მათი ნაწილია, ამიტომაც ლობირებენ მათ და თვალს ხუჭავენ იმ სისხლიანი რეჟიმის ნამოქმედარზე, რაც იმ 9 წლის მანძილზე ხდებოდა. ეს იყო ცოდვის ტირილი — ქუჩაში უმოწყალოდ ჩახოცილი ახალგაზრდები, ციხეებში ნაწამები, გაუპატიურებული პატიმრები, აწიოკებული ოჯახები, მათი თვალთვალი, მიყურადება, პირდაპირ საძინებლებში შევარდნა და ა.შ. ნაცები ამ პოლიტიკას დღესაც აგრძელებენ. ხომ არ გგონიათ, რომ რადგან ხელისუფლებაში აღარ არიან, ამ „საქმიანობაზე“ უარი თქვეს?! სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობა ვერ აღადგინა. მან ვერ გაბედა ამ ძალის პოლიტიკიდან ჩამოცილება, ნაცებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და შედეგად, ისინი დღეს ყველა უწყებაში არიან მოკალათებულნი. ახლა, გოგაშვილი დააპატიმრეს და რა, მერე? — აღმოჩნდა, რომ სუსის უმაღლესი თანამდებობის პირი ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობდა. აი, ამ რეალობაში ვართ.

ყველა განიხილავს: რა ჩვენება მისცა გოგაშვილმა, რა განცხადება დაწერა და არავინ საუბრობს იმაზე თუ რა პრეცედენტია შექმნილი. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, აშშ-ში „ცრუს“ მაღალი თანამდებობის პირი სხვა ქვეყნის ინტერესებზე მომუშავე რომ აღმოჩნდეს. ვინ მისცემს მას წერილის დაწერის, განცხადებების კეთების საშუალებას. აქ, გოგაშვილის ფეისბუქ-პოსტებს დემოკრატიას ვეძახით. კაცი, რომელსაც ამხელა თანამდებობა ეკავა, საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, კანონს არღვევდა…

**— ფსევდო-ლიბერალებმა ყველაფერი რუსული მტრის ხატად აქციეს. რა მიზანი აქვს ამ ყველაფერს?**

— როგორ შეიძლება რუსი გლეხის, რომელიც კარტოფილს თესავს და იმკის, მის ინტერესებში იყოს საქართველოს დაპყრობა და ტერიტორიების წართმევა?! როგორ შეიძლება ცივილიზებული ადამიანის გონებაში ასეთმა პროპაგანდამ იმუშაოს და რიგითი რუსი, რომელიც შეიძლება შენზე მეტად არის მისი ხელისუფლებისგან შევიწროვებული, მტრის ხატად აქციო?! ეს არის ფაშიზმი. დიახ, ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, რაც ნაცების ხელისუფლების პოლიტიკის შედეგია. ჩვენ, უნდა ვიფიქროთ: როგორ დავალაგოთ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობები, ამის ნაცვლად, გაიძახიან: უკრაინაში ომი მიმდინარეობს და აქ, მეორე ფრონტი უნდა გავხსნათო. შე დალოცვილო, რუსეთს შენი ქვეყნის ტერიტორიები რომ მიჰქონდა, 300 ათასი მოსახლე ლტოლვილად რომ აქცია (აქედან, 200 ათასზე მეტი, რუსეთშია გაქცეული), მაშინ სად იყავი. თუ რუსი ოკუპანტად მიგაჩნია, ეს პროტესტი მაშინ უნდა გაგჩენოდა ხომ, როცა შენს მიწა-წყალს გართმევდა.

მრავალი წელია ეს განცდა არ გაჩენილა არც ცხინვალზე, არც 2008 წლის ომის შემდეგ. პირიქით, სააკაშვილი რუს ტურისტებს ეხვეწებოდა: მობრძანდით, ჩვენთან, დაისვენეთო. რუსებს, პირდაპირ, აეროპორტში ქართულ ღვინოებს ჩუქნიდა. მაშინ არ გასჩენიათ ეს განცდა — რუსეთი ოკუპანტიაო და 2022 წელს რა ლოგიკით უჩნდებათ? ასეთი საზოგადოება შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ? წარმოიდგინეთ, როგორი პიარის, სატელევიზიო მანიპულაციების მსხვერპლია დღეს საზოგადოება, რომ ვერ აცნობიერებს, რა დროს უნდა ეყვირა: რუსეთი ოკუპანტიაო.

საკუთარ დროშას რომ სხვადასხვა ფერებში გადაღებავ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ ამის მერე. როგორ შეიძლება სხვისი მიწის დაკარგვა გედარდებოდეს და შენის — არა?! თურმე, უკრაინამ ომი თუ მოიგო, რუსეთი საქართველოს წართმეულ მიწებს დაუბრუნებს. ეს ხომ სისულელეა. გახსოვთ, რას ამბობდა სააკაშვილი 2003 წლის რევოლუციის მერე, აჭარის ასაწიოკებლად რომ მიდიოდა: აფხაზეთის გასაღები აჭარაშიაო და ხალხსაც ასე სჯეროდა. ეს არის პიარი. ასლან აბაშიძის გაგდების მერე, მიშას პასუხი არავინ მოსთხოვა: სად გაქრა ის გასაღები? — ასლან აბაშიძემ თან წაიღო თუ ზღვაში გადააგდო. აი, ასე ხდება ადამიანების ტვინების გამორეცხვა, გამოთაყვანება და მათთვის სასურველი ინფორმაციის ჩანერგვა.

კი ბატონო, უკრაინელები უნდა გვეცოდებოდნენ, კიდევაც დავეხმაროთ, მაგრამ არა საკუთარი ქვეყნის ინტერესების, განადგურების ხარჯზე! ჩვენ ხომ ვიცით: უკრაინულ დროშებს ვინც აფრიალებს, ეს ის ხალხია, რომლებიც მზად იყვნენ, საქართველო სისხლისგან დაეცალათ და აქ მეორე ფრონტი გაეჩაღებინათ, რაც ჩვენს ქვეყანას პირისაგან მიწისა აღგვიდა. აი, ეს ხალხი ლაპარაკობს, რომ უკრაინა ედარდებათ.

ხელისგულისნახევარ ტერიტორიაზე რუსეთს 2008 წელს დღენახევარი ვერ შევებრძოლეთ, ფოთის პორტის სამხედრო ხაზი განადგურებულია, ყველაფერი მოშლილია, რუსის ჯარი გორიდან ხუთ კილომეტრში დგას და ამ დროს იძახი: აქ მეორე ფრონტს გავხსნიო. ამ აზროვნების შედეგად ქვეყანა განწირულია გასანადგურებლად.




**— ქალბატონო ნანა, ახლახან საქართველოში ამერიკის აგენტურაზე სტატია გამოქვეყნდა. რა მიზნებს ემსახურება ეს ხალხი?**

— ყველამ ვიცით, რომ ეს ხალხი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა. ფაქტია, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ. ეს ღალატია. გამოსაძიებელი რჩება მხოლოდ შემდეგი — ეს ნებით კეთდება თუ უნებლიედ, ვიღაცასთან შეთანხმებით ხდება, ფულადი ინტერესით თუ სიბრიყვით. შედეგისთვის, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები, თუნდაც, ომის გაჩაღებისკენ მოწოდება — ვისგან მოდის ყოველივე, აი, ამას უნდა იძიებდეს სახელმწიფო. თავის დროზე რომ გამოეძიებინათ, რატომ დაარქვა სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო-აფხაზეთი, ცხინვალის ოლქი 200 სოფლით რატომ გაზარდა და დაკარგა ტერიტორიები, ახლა, სხვა ვითარება გვექნებოდა. ახლა რომ ჭყიპინებენ: რუსები მავთულხლართებს აბამენო. ამ მავთულხლართებს იქ აბამენ, სადაც მათ საზღვარი გადმოიტანეს. ვინ გადმოიტანა ეს საზღვრები? ვინ მოუხაზა რუსებს ის საზღვრები, როგორც ცხინვალის ოლქი? გამოძიება არ უნდა ჩატარებულიყო, ვინ მისცა იმ დეპუტატებს ასეთი დავალება? და ამათ უნდათ ტერიტორიების 20%-ის დაბრუნება იმით, რომ აქ მეორე ფრონტი გახსნან? ნაცებს უნდათ, რა ტერიტორიებიც დაგვრჩა, ისიც დავკარგოთ და რუსული ბომბებისგან ყველაფერი მტვრად იქცეს. ეს არის პატრიოტიზმი?! ის არ არის პატრიოტიზმი, რომ გაირკვეს, ვინ გადასცა ეს ტერიტორიები რუსებს და რის სანაცვლოდ?! ვისთან შედგა ეს გარიგება. როგორ, უცებ, გაიღვიძეს და მოუნდათ, კოდორისთვის ზემო-აფხაზეთი დაერქმიათ?

**— ამერიკის ელჩმა ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა. ეს რაზე მიუთითებს?**

— კელი დეგნანი ამერიკის მოქალაქეა და საქართველოში თავისი ქვეყნის ინტერესებს ატარებს. ჩვენ, უნდა ვიმსჯელოთ: რამდენად თანხვედრაშია ეს საქართველოს ინტერესებთან. დეგნანმა თქვა და მორჩა, აქ, წერტილი უნდა დავსვათ, გაგრძელება არ უნდა მოჰყვეს ამ ყველაფერს? ანალიზია საჭირო. საზოგადოებას უნდა გავაგებინოთ: რა ხდება, რეალურად და მერე, დასკვნებს თავად გააკეთებს. ელჩი აცხადებს: ჩვენ, საქართველოს ინტერესებიდან გამოვდივართო. ძალიან მაინტერესებს: რა იყო საქართველოს ინტერესი — კოაბიტაცია, კრიმინალთან თანაარსებობა, 325 ათასს ადამიანს რომ უთხრეს სამართლიანობას არ აღგიდგენთო?! ია მეტრეველის შვილი და იმ 150 ბიჭის მკვლელი დაუსჯელი რომ დადის, დანაშაულები რომ ჩაიფარცხა, ამას ეძახის დეგნანი საქართველოს ინტერესების დაცვას? თუ ის იყო ჩვენი ინტერესის დაცვა, საელჩოებმა შსს-ში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების 150-ზე მეტი ფაილი რომ გაანადგურეს? ვინმემ იკითხა, რატომ გაანადგურეს მტკიცებულებები? გვითხრას, დეგნანმა: სხვა, რომელ ქვეყანაში ხდება, არაკანონიერი ჯგუფის მიერ მტკიცებულებების განადგურება. კანონში გაწერილია ორი უწყება, რომელსაც მტკიცებულებების განადგურების უფლება აქვს — ესაა პროკურატურა და სასამართლო. სად წერია, რომ ელჩებს და არასამთავრობოებს, შსს-ში კრების ჩატარების დონეზე, მტკიცებულებების განადგურების უფლება აქვთ?! არა, ბატონო, საზოგადოების ინტერესი ეს კი არ იყო, არამედ ის თუ ვინ შეასრულა, ვინ დაუკვეთა და ვინ იდგა ამ დავალების უკან? იქნებ, თავად ის ხალხი იდგა ამ ყველაფრის უკან, ვინც იქ, კრებას ესწრებოდა, ამ ფაილების განადგურებას ლობირებდა და ამით საკუთარ კვალს შლიდა! გვითხრან: რატომ ლობირებს დასავლეთი, ამერიკა კრიმინალების ციხიდან გამოშვებას? დიახ, რატომ ლობირებენ კრიმინალი სააკაშვილის უკანონო გათავისუფლებას?! ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რა დანაშაულებებიც აქვს სააკაშვილს ჩადენილი? იქნებ, იმიტომ ლობირებენ, რათა მიშამ პირი არ დააღოს და არ ალაპარაკდეს: ვისი დაკვეთით აკეთებდა ამ ყველაფერს. ეს ხომ იმაზე მეტყველებს, რომ ამ პატარა საქართველოს არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი ქვეყანა მართოს. დღეს ჩვენი დამოუკიდებლობა ფარატინა ქაღალდია. გვერდით ისეთი არავინ გვყავს, ვინც დაგვეხმარება, რათა დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოლოთ და მსოფლიოს დავანახოთ, თუ რა იდგა იმ 9-წლიანი რეჟიმის უკან. მიშას რომ სცოდნოდა, მსოფლიოში არსებობდა ძალა, როლიც ჩადენილი ქმედებებისთვის პასუხს მოსთხოვდა, ამდენ დანაშაულს ხომ ვეღარ ჩაიდენდა. საინტერესოა, ვისგან ჰქონდა გარანტია, რომ ჩადენილი არაერთი კრიმინლის გამო არ დაისჯებოდა. წარმოიდგინეთ, მოქალაქეობის არმქონე პირი უპასპორტოდ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გადაადგილდებოდა. ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, რომ მის უკან დგას ძალა, რომელიც ამ უკანონობებზე თვალს ხუჭავდა და დღემდე ხუჭავს. გახსოვთ, გიორგი მარგველაშვილი გაეროს სამიტზე რომ ჩავიდა და იქ, დარბაზში კრიმინალი სააკაშვილი დაახვედრეს. ეს საქართველოსთვის, მთელი ქართველი ერისთვის შეურაცხმყოფელი იყო. თუ პარტნიორი ქვეყანა ხარ და სამიტზე მეპატიჟები, ჩემს მიერ კრიმინალად გამოცხადებულ ძებნილს დარბაზში როგორ მახვედრებ?! ეს არის პარტნიორობა? ეს არის საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესები, რომ მის მიერ არჩეული ხელისუფლება, მსოფლიოს თვალწინ, ასე გაგიბახონ, დაამცირონ და დააკნინონ?! დღეს ეს ძალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ჩემისთანა ადამიანები გააჩუმონ. თუ ვინმე მომკლავს, ეს იქნება ის ძალა, ვისაც მე, ვამხელ და ვუპირისპირდები, რადგან ვხედავ, ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ როგორ სჩადის დანაშაულს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გვაქვს ინფორმაციები, რომ შემოდგომაზე მოსალოდნელია სამხედრო გადატრიალების მცდელობები

*გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი სოსო შატბერაშვილი*

**— ბატონო სოსო, როგორც ვიცით, ოპოზიციური პარტიები შემოდგომაზე საპროტესტო აქციებს აპირებენ. თქვენც ოპოზიციური პარტია ხართ, შეუერთდებით ამ აქციებს?**

— არ შევუერთდებით არავითარ შემთხვევაში. ჩვენ კონსტურქციული ოპოზიციური პარტია ვართ. წლების განმავლობაში, როცა ხელისუფლების შეცდომებს და გადაცდომებს ვხედავდით, ყოველთვის მივუთითებთ.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ახალი მოსული რომ იყო, აპირებდა ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გაყიდვის დაკანონებას, განხილვაზე ჩვენ და კიდევ რამდენიმე პარტია წინააღმდეგი წავედით და შევძელით ის, რომ მმართველმა პარტიამ გადაწყვეიტლება შეცვალა. დღეს კონსტიტუციაში წერია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხოელებზე არ გაიყიდება. ჩვენ პროტესტი გვქონდა ოჯახის დეფინიციის შესახებაც, რომ ოჯახი არის ქალი და მამაკაცის ერთობლივი ცხოვრება, ესეც ჩავაწერინეთ კონსტიტუციაში. მსგავს თემებზე ბევრი კამათი გვქონია და ვართ თუ არა კონსტრუქციული ოპოზიცია, საზოგადოებამ განსაჯოს.



იმ ოპოზიციას, რომელიც ხელისუფლებასთან მუდმივ წინააღმდეგობაშია, აქვს ერთადერთი მიზანი: გამოიწვიონ ქვეყანაში არეულობა, ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ და ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ისინი მშვენივრად ხედავენ, რომ არჩევნების გზით ხ ვერ მოდიან და ერთადერთ საშუალებად ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, ხედავენ სახელმწიფო გადატრილებას. უკვე მოგვდის ხმები, რომ მოსალოდნელია, სამხედრო გადატრიალებაზეც წავიდნენ.

**— რა ხმები მოგდით?**

— გვაქვს ინფორმაციები, რომ აშშ-ის ხელისუფლება, რომელიც დაუფარავი აგრესიით გამოირჩევა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, თავად ელჩი და საელჩოს წარმომადგენლებიც, ევროკავშირის და ევროპარლამენტის წევრებიც, რომლებიც დაფინანსებული არიან ლობისტური კომპანიების მიერ, ეწევიან აღვირახსნილ კამპანიას „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ და მოსალოდნელია, დააპირონ სამხედრო გადატრიალებაც.

**— აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და როგორ შეიძლება მას მეგობარ ქვეყანაში სამხედრო ან სახელმწიფო გადატრიალება უნდოდეს, ჩემთვის გაუგებარია.**

— 2003 წელსაც მეგობარი ქვეყანა იყო აშშ საქართველოსთვის, მაგრამ თავს მოგვახვია „ვარდების რევოლუცია“, ხელისუფლების სათავეში მოიყვანა ადამიანი, რომელსაც შეერთებული შტატების მოწვეულმა ფსიქიატრმა ახლახან ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი დაუსვა. ადრეც იყო ამაზე საუბრები. ეს უკანასკნელი დასკვნა ჯერ არ გასაჯაროებულა, მაგრამ ვიცით, რომ დაიდო ასეთი დასკვნა.

ჩვენს ქვეყანას მართავდა ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი, რომელმაც არა მხოლოდ სახელმწიფო დაშალა სამ ნაწილად, არამედ ქვეყანა ჩართო



რუსეთთან ომში.

დღესაც ძალიან ძლიერი ლობისტური კომპანიები მუშაობენ სააკაშვილზე. ამ საქმეში ჩარეულია სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია და აპირებენ კვლავ მიშა და მისი გუნდი დაბრუნონ.

ყოფილი ხელისუფლება აშშ-ის ყურმოჭრილი მონაა, რასაც უბრძანებენ, იმას ასრულებენ.

დღევანდელი ხელისუფლება რომ მათ არ ემორჩილება, ეს კარგად დავინახეთ, როცა იყო უსერიოზულესი მცდელობა საქართველოს ომში ჩაართვის. იყო ზეწოლები ბიძინა ივანიშვილზეც. ელჩმაც დაადასტურა, რომ შედგა შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით. 2008 წლისგან განსხვავებით, როცა სამხედრო ავანტურა დაიწყეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჯონ მაკკეინს გაემარჯვა საპრეზიდენტო არჩვენებში. მაკკეინმა თქვა კიდევაც მაშინ: დღეს ყველანი ქართველები ვართო. ამ სიტყვების გამო მიენიჭა მას საქართველოს გმირის წოდება. პრეზიდენტი ტრამპი კი ამბობდა: ჯონ მაკკეინი ომის ვეტერანი კი არა დეზერტირია და ამერიკის სირცხვილიო.

აშშ-დან და ევროპიდან ყველაფერი კეთდება დღეს იმისთვის, რომ ჩვენი ხელისუფლება არაკანონიერი გზით იქნას ჩამოცილებული მმართველობას, თორემ არჩევნების გზით თუ დამარცხდება, ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

**— ანუ ჩვენ „შინ ევროპაში“ ხელგაშლილი მივიდივართ და ისინი დესტაბილიზაციისკენ გვიბიძგებენ?**

— ყველაფერი ძალიან მარტივადაა: ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობის 30-წლიანი კანდიდატი თურქეთი რამდენიმეჯერ გახდა სამხედრო გადატრიალების მსხვერპლი. სულ ბოლო გადატრიალება, რომელიც ერდოგანს მოუწყვეს, ისიც აშშ-ის მიერ იყო დაგეგმილი. რომ არა რუსეთის დაზვერვა, ერდოღანი შეიძლება ახლა ცოცხალიც არ ყოფილიყო.

**— თურქეთს სხვა პოლიტიკური ინტერესები აქვს, საქართველო სხვა მდგომარეობაშია, რატომ არის ხელსაყრელი სამხედრო გადატრიალებები ამ სხვადასხვა ტიპის ქვეყნებში?**

— ეს ცოტა რთული საკითხია. უნდა ვიცოდეთ, რომ აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესები არაერთმნიშვნელოვანია, ის უკან არასდროს იხევს, იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის ბევრი ქვეყანა შეერთებული შტატების დიქტატის წინააღმდეგია.

დიდი ხანია არ არის, რაც დიდმა ბრიტანეთმა მილიარდი დოლარი გადაიხადა ჯარიმის სახით და



დატოვა ევროკავშირი, ბრექსიტის ჩატარებას აპირებს საფრანგეთიც და ისიც გეგმავს, გავიდეს ევროკავშირიდან, რათა შეერთებული შტატების დირექტივებს თავი დააღწიოს, გერმანიაშიც მიმდინარეობს მსგავსი ხასიათის გადაწყვეტილების განხილვის პროცესი. რაც შეეხება ჩეხეთს, შეუჩერებელი აქციები დაიწყო მოთხოვნით, ჩეხეთმა დატოვოს ევროკავშირი. აღარაფერს ვამბობ პოლონეთსა და უნგრეთზე. ამ ქვეყნების ხელმძღვანელობა პირდაპირ გამოდის ევროკავშირის და ევროსტრუქტურების წინააღმდეგ — კიდევ ვიმეორებ: ევროკავშირსა და ევროსტრუქტურებში მთავარი ჰეგემონი არის აშშ და ქვეყნებს აღარ სურთ აშშ-ის დიქტატში ცხოვრება.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ახლახან განაცხადა: ევროსტრუქტურები არის დრომოჭმული და კორუმპირებული, სადაც პატივს სცემენ არა პოლი-



ტიკას, არამედ მწვანე დოლარსო.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა თბილისში სტუმრობისას თქვა: რად გინდათ ეს ევროკავშირი, როდესაც ის კორუმპირებული და ყავლგასული გაერთიანებააო.

თუმცა ჩვენ მაინც იქითკენ მივისწრაფვით, სადაც შეიძლება შევიდეთ, მაგრამ, მოსალოდნელია, როცა შევალთ, იქ აღარავინ აღარ დაგვხვდეს.

საქართველო დღეს არის ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი, ევროკავშირის ასოცირებული წევრი, გაუქმებულია სავიზო რეჟიმი ევროპასთან და კანდიდატის წოდება ჩვენთვის არაფრის მომტანი არ იქნება. ეს წოდება ახლახან მიანიჭეს უკრაინას და მოლდოვას და იქვე განაცხადეს, უკრაინას იმიტომ გავაწევრიანეთ, რომ ის ომშის მდგომარეობაშიაო, ანუ პირდაპირ მიგვანიშნეს: ჩაერთეთ ომში და თქვენც მიიღებთ კანდიდატის წოდებასო.

მე, როგორც პარტიის ლიდერი და პოლიტიკოსი, ვეკითხები საზოგადოებას: რად გვინდა ევროკავშირის ან რომელიმე კავშირის კანდიდატობა, თუ საქართველოში დაიწყო ომი და ცხელი ბომბები წამოვიდა თბილისის და სხვა ქალაქების და სოფლების თავზე, ისე, როგორც დანგრეულია მთელი აღმოსავლეთ უკრაინა?!



გასაგებია, რომ მეტი დაცვაა ევროკავშირის წევრობა. ომის შემთხვევაში სამხედრო არა, მაგრამ ძალიან დიდი პოლიტიკური ზეწოლა იქნება აგრესორი ქვეყნისადმი, ამოქმედდება მე-5 მუხლი, რომელიც პირდაპირ დაცვას გულისხმობს წევრი ქვეყნის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია: როცა თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო და დაიძაბა ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის, ნატოს ხელმძღვანელობამ განაცხადა: რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში ნატო თურქეთს არ დაიცავსო, ანუ მე--5 პუნქტს არ ავამოქმედებთო, იგივე მოხდა, როცა შეიქმნა რუსეთ-ლიტვას შორის კონფლიქტის საშიშროება.

გეკითხებით: ნატოს სრულუფლებიან წევრებზე თუ არ მოქმედებს მე-5 პუნქტი, საქართველოს რა უნდა ნატოში?

**— თუ თურქეთს და ლიტვას არავინ დაეხმარა, უკრაინას რატომ „ესევა“ ნახევარი მსოფლიო?!**

— არავინ არ ესევა. უკრაინა მიატოვეს რუსეთის პირისპირ. არც ჯარი, არც იარაღით დახმარება, პოლონეთმა გადასცა ძველი საბჭოთა დაჟანგული ტანკები, ბალტიის ქვეყნებმაც. მოხალისეებიც კი არ გაუგზავნიათ უკრაინაში, ხოლო ის 40 მლრდ. რომელიც აშშ გამოუყო უკრაინას დახმარების მიზნით, უკრაინის კორუმპირებულმა ხელისუფლებამ ჯიბეში გააქანა. ყოფილი მსახიობის მშობლებმა სწორედ იმ 40 მლრდ გადმორიცხვის შემდეგ 80 მლნ დოლარად შეიძინეს ფეშენებელური საცხოვრებელი ისრაელში. მთელი მსოფლიო პრესა ამაზე ლაპარაკობდა გარკვეულ ხანს.

უკრაინის ხელისუფლების ცალკეული პირები მხილებულნი არიან იარაღის კონტრაბანდაში, უკრაინის მთავრობა მთლიანად არის ჩართული კორუფციაში იმ დროს, როცა აგერ, სააკაშვილი ითხოვს, გამიშვით უკრაინაში, აღარ მაინტერესებს საქართველოო. მიშა კარგად ხედავს, რომ უკრაინაში მოდის ფულის წვიმა და ის ამ დროს ციხეშია. წარმოიდგინეთ სააკაშვილის ტრაგედია; და როცა ამბობს, პოლიტიკიდან წავალო, ეს არის მტკნარი ტყუილი. ახლა უკრაინაში ტრიალებს შავი ფული და სააკაშვილი, რომელიც გაწაფულია შავი ფულის გათეთრებაში, ოფშორულ ზონებში ფულის გადაქჩევაში, არ იმყოფება უკრაინაში.

მიშა საქართველოში ჩამო-

ვიდა არეულობის მოსაწყობად. ეს ისეთი სიმართლეა, როგორც ორჯერ ორი — ოთხი, მისი მიზანი იყო, არჩევნების მეორე დღეს „ვარდების რევოლუცია“-2 მოწყობა. მან იცოდა, რომ დააპატიმრებდნენ, მაგრამ ეგონა, თუ ციხეში მოხვდებოდა, მთელი მსოფლიო დაუდგებოდა თავდებად. ასე მოიქცეოდა პირველ რიგში უკრაინის ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ არავის მოუკლავს თავი და ერთადერთი გზა ახლა ციხიდან თავის დახსნის არის ფსიქიატრის დასკვნა, მაგრამ თუ შეურაცხადი იყო, რა უნდოდა 10 წელიწადი პრეზიდენტის პოსტზე.

დღეს ის დილემის წინაშეა — ან თავისუფლება ან პოლიტიკაზე უარის თქმა.

ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მიხეილ სააკაშვილი.

**— ზემოთ საუბრისას მთელი ევროკავშირი და აშშ „ამხილეთ“, ოპოზიციურად განწყობილი ლიბერალები და ჩვენი მოქალაქეების გარკვეული ნაწილი თქვენ „რუსეთუმედ“ გამოგაცხადებთ. ანუ ყველას, თქვენი აზრით, რუსეთი ჯობია?**



— ლიბერალების და ბრმა მედასავლეთეების ტერმინოლოგიით, არა მხოლოდ რუსეთუმე, არამედ პუტინის აგენტიც გამოვდივარ, რადგან ადამიანი, რომელსაც უყვარს სამშობლო, სურს დევნილების სახლებში დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება და გეიაღლუმების დაუშვებლობა თბილისსა და მთელ საქართველოში, ოჯახის სიწმინდე, მართლმადიდებლობის გაძლიერება, ყოფილა რუსეთუმე და რუსეთის დაზვერვის აგენტი. არამც თუ მე, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სწამებენ ცილს, რუსული ინტერესების გამტარებელია საქართველოშიო, პატრიარქიც კი რუსეთის აგენტიაო. ამის შემდეგ რაღაა გასაკვირი მაგათგან.

**— ე.ი. ან რუსეთი, ან დასავლეთი და მაინც რუსეთი?**

— არა. ჩვენი გეზი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს დასავლეთისკენ. ჩვენი პოლიტიკური მიმართულება უნდა იყოს დასავლური, ამაზე არ ვკამათობთ არც ჩემი თანამოაზრე პოლიტიკოსები, არც ჩვენი პარტიის წევრები, მაგრამ თუ გვსურს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, უნდა დაველაპარაკოთ რუსეთს. ახლა სწორედ ხელსაყრელი მომენტია ამისთვის. რუსეთი ჩართულია ომში, მისი საერთაშორისო იმიჯი ეჭვის ქვეშაა, ახლა არის დრო, რომ ქართული წარმომადგენლობა ჩავიდეს მოსკოვში და დაიწყოს მოლაპარაკება უვიზო რეჟიმის საკითხებზე, ყველა ქართველი დევნილის უპირობო დაბრუნების თემაზე, ამ ფონზე ჩვენც შეიძლება დათმობაზეც წავიდეთ, მაგალითად, გავხსნათ რკინიგზა რუსეთის ტვირთებისთვის აფხაზეთის გავლით.

გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის დახმარებით სულ ცოტა ხნის წინ აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა აზერბაიჯანმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართულება დასავლური იყო, მაგრამ გერმანიამ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა სწორედ რუსეთთან და არა ამერიკასათან მოლაპარაკებით.

იგივე იაპონიას რუსეთთან სადაო ჰქონდა სამხრეთ სახალინის და კურილიის კუნძულების ტერიტორიები. იაპონიამ იცის, რომ ამ მიწებს ვერ დაიბრუნებს, მაგალითად, ბრაზილიის დახმარებით, ის უკვე დიდი ხანია მოლაპარაკებებს აწარმოებს ამ მიმართულებით რუსეთთან.



ჩინეთთან რუსეთს წლების განამავლობაში ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ დღეს მეგობრული კავშირები აქვთ. პოლიტიკური კავშირები დამოკიდებულია ქვეყნების ხელმძღვანელთა ბრძნულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე.

**— ასეთ თემებზე „ქართულმა ოცნებამ“ საუბარიც კი რომ დაიწყოს, ისედაც ემახიან პრორუსულებს და მაშინ ნახეთ დამხობის მცდელობები.**

— აბა, როგორ უნდათ ხელისუფლებაში ყოფნა. მარტო რბილი სავარძელი, პერსონალური მანქანები და პრივილეგიები კი არაა ქვეყნის მმართველობა, ხელისუფლებაში ყოფნა უდიდესი პასუხისმგებლობა და რისკია. შეიძლება ბევრი იარლიყი მოგაკერონ და გლანძღონ, მაგრამ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე უნდა გააკეთო.

ერთ-ერთი მთავარი დაპირება 2012 წელს „ქართული ოცნებისგან“ იყო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება და სადაა ეს დაპირება, რატომ არ შესრულდა? სალომე სამადაშვილს, ბოკერიას და მის ცოლს უსმენენ და ქართველ ხალხს არა? ხომ ყველამ ვიცით, რომ ესენი უსამშობლო, უნამუსო, უსარწმუნოებო, უეროვნებო, უღმერთო, უპროფესიო ადამიანები არიან, ყველანაირ სიბინძურეზე ხელის მომწერები იმისთვის, რომ კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში?!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# „ცეცხლისწამკიდებელი“




ერთ კარგ ამერიკელ მწერალს, უილიამ ფოლკნერს, აქვს შესანიშნავი ნაწარმოები „ცეცხლისწამკიდებელი“, სადაც მისეული ოსტატობით აქვს აღწერილი ადამიანის მდგომარეობა პირველი ცოდვის შემდეგ, ცოდვას ცოდვა რომ სდევს და ეს მარადიული მდევარი დაუღალავად რომ მიჰყვება უკანასკნელ წამამდე.

რა თქმა უნდა, ნაწარმოები სულ სხვა თემაზეა, მაგრამ ბოლო ხანებში საქართველოში გაჩენილ ხანძრებთან დაკავშირებით ამეკვიატა სიტყვა „ცეცხლისწამკიდებელი“.

ცეცხლისწამკიდებლები საქართველოში ბევრი გვყავს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, სწორედ კოდირებული ცოდვით დაღდასმულები, მარადიულად რომ ვერ მოუშორებიათ ღალატისა და ბოროტების დაღი.

ეჭვები ბევრს ჰქონდა, რომ ტყის ეს სტიქიური ხანძრები პროვოცირებული იყო, მაგრამ ბოლო ხანებში საზოგადოებაში კონკრეტულ პირებზე გაჩნდა ეჭვები — პოლიტიკურად რომ ვერ ახერხებენ საქართველოს ცეცხლში გახვევას, პირდაპირი მნიშვნელობით დაიწყეს ტყეების და მინდვრების გადაბუგვა, საქართველოს ცეცხლში გახვევა, რომ, აი, ეს უვარგისი ხელსუფლება ვერც ტყეს უვლის, ვერც ხოდაბუნებს, ვერც სახელმწიფოს და ვერც ადამიანებსო.

ცეცხლის წაკიდება, ომი და უსამართლობა, როგორც ასეთ დროს იტყვიან, მათი მოგონილია: არაერთხელ გახვიეს განუკითხაობის ნაღვერდალში და ომის ცეცხლში ქვეყანა და ახლაც იგივეს შვრებიან, რადგან მიჩვეულ საქმეს უფრო იოლად აკეთებენ, ვიდრე სიკეთეს და სასარგებლოს.

ალბათ არავის გაუკვირდება, თუ ვინმე ამ საშინელების კონკრეტულ დამკვეთებისა და შემსრულებლების მიმართ ეჭვს გამოთქვამს, ყველაფერი ახლანდელი და ყოფილი ნაციონალებისგან მოდისო. მაგათზე უფრო დიდი და ვერაგი მტერი ალბათ საქართველოს დღეს არც ჰყავს.

ცეცხლზე გამახსენდა ძველი ქართული ანდაზა „კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო“ , მაინცადამაინც „ნაცმოძრაობაზე“ რომ მიიტანა ეჭვი საზოგადოებამ, ცეცხლისგამჩაღებელები არიანო, არაა გასაკვირი — კარგი არასდროს არაფერი გაუკეთებიათ, მაგათგან მხოლოდ ცუდია მოსალოდნელი...

აბა, კარგს რას უნდა მოელოდეს ადამიანი აფრასიძეების ოჯახის ამფეთქებლებისგან, აფრასიძეების ძვალი და სისხლი რომ იყო ერთმანეთში ათქვეფილი და კუბდარი რომ მოითხოვა კაცმა, ამ შეგნების და სულის ადამიანებისგან ცეცხლს კი არა, ბირთვულ ბომბს უნდა მოელოდეს ქვეყანა...

ნაცებს თავი გაეტეხათ, სახელის გატეხვას ჯობდა, იქნება იმ გატეხილ თავებში გონება განათებოდათ და ქვეყნისადმი მეტი გულშემატკივრობა და სიყვარული გამოეჩინათ, მაგრამ ურჯულოები არიან, უსამშობლოები და საქართველო მხოლოდ ცეცხლისთვის, ომში ჩართვისთვის და საკუთარი კეთილდღეობისთვის გაჩენილი ჰგონიათ. იმიტომ არის, მხოლოდ საზრავ და სამარქაფო ადგილად რომ მიაჩნიათ ქვეყანა ამ გადამთიელების ნაშიერებსა და შთამომავლებს.

ივანიშვილი დენდროლოგიურ პარკს რომ აშენებდა, ვითომ ბუნების დამცველები ისტერიკაში იყვნენ, ქილიკობდნენ, იწყევლებოდნენ. მერე სასეირნოდ გაემგზავრნენ პარკში და სოციალურ ქსელში ფოტოებიც გამოაქვეყნეს უნიკალური ნარგავების ფონზე. მაგრამ მიზანს ხომ მიაღწიეს, გაუთვითცნობიერებელი ხალხი ხომ გააღიზიანეს და გააბოროტეს; მისია შესრულდა და ფოტოების გადაღების დროც დადგა...

დღეს 2012 წლამდე აქტიურად მოტრაშუნე, ვითომ ბუნების დამცველი, სინამდვილეში გრანტიჭამია და მაინც მშიერი ნატა ფერაძე იძახის: ორი ოლიგარქი გვყავს ტაფით საცემი — ბიძინა ივანიშვილი და ილია მეორეო, რადგან ტყეში თინეიჯერი ცხოველები იბუგებიანო.

თინეიჯერი ცხოველებიო...

ცალი ხელით ცეცხლს ანთებენ, ცალი ხელით აქციებს მართავენ და არიან ასე დამწვარდანახშირებული ბოღმით და ამ ქვეყნის მტრობით.

ამ გასაჭირსაც გაუძლებს ჩვენი ქვეყანა, ამ ცეცხლსაც ჩააქრობს და მშვიდობიანად გადაივლის კიდევ მრავალ გასაჭირს, მაგრამ მანამდე თქვენ უნდა დაისაჯოთ სააქაოში, ჯოჯოხეთის ცეცხლამდე, საქართველოს განადგურების მოსურნეებო, მხოლოდ იმას რომ ფიქრობთ, თუ მე არა, ქვა ქვაზე არ დარჩენილაო, ამ ხანძრების პროვოცირებისთვის, ათასგვარი უბედურებებისთვის...

თუ ეს ხანძრები სპეციალურად იყო მოწყობილი, შემკვეთშემსრულებლები ახლა მაინც გამოვლინდნენ და ახლა მაინც დაესვას წერტილი მავნებელთა ბოგინს, დაიღალა ქვეყანა ცოდვით დაცემული, ამ ცოდვისგან მოუსვენარი, ვიწრო მერკანტილური ინტერესებით გაბერილი მოღალატეების ცქერით.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



# დედოფალი გიული

## სოციალურ-პოლიტიკური ნოველა



ქალი სარკესთან გაჩერდა, საკუთარ თავს გაუღიმა. „კლეჩატი" პენუარი ტანზე შემოტმასნოდა. ეს უფრო კარგ განწყობაზე აყანებდა. საერთოდ, ძალიან უყვარდა „კლეჩატი" ტანისამოსი, ბოლო დროს კი სიგიჟემდე შეუყვარდა, ამას წინებზე იმან უთხრა, ეგ პენუარი რომ გიხდება, ეგრე არაფერიო, ვაფრენო, ჭკუიდან გადავდივარო, დედოფლად გამაიყურები, შენი მუხლების ჭირიმეო. არა, ნებისმიერ ტანისამოსში, თუნდაც ტატრაყუნა იყო, მაინც დედოფალი ხარ, მაგრამ ეს პენუარი ღრუბლებამდე გამაღლებს, ხშირად იმის ზემოდანაც კი გადმოგვყურებო. მისმა სიტყვებმა უსაზღვრო აღმაფრენა მოჰგვარა, ზებუნებრივად აღტყინდა, ჰასაკი საერთოდ გადაავიწყდა, სტუდენტობისას რო ანცობდა, იგეთივე გრნობა დეეუფლა... მეტიც, ენერგიით აღივსო და გადაივსო, გეგონება ხორბლით სავსე ამბარი ყოფილიყოს.

იმან ხელი სთხოვა, ცოლად უნდა წამომყვე, ერთი დანახვით შემიყვარდი, თავი დავკარგე, სანამ ხელში არ აგიტატებ, ვერ მოვისვენებო. არ გაჰკვირვებია, თითქოს ელოდა კიდევაც, ღაწვებზე ატყობდა, გულგრილი არ იყო. უნდა ეთქვა, ჯერ ჩემ მშობლებთან მიდი, დაელაპარაკე, გაპარვა არ გამოვა, გოგო-ბიჭი აღარ ვართო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ მშობლები იმ სოფელში იყვნენ გარდასულები და გული დასწყდა. უცებ გონება გაუნათდა, სარკის წინ შეხტა, ჰაერში შემოტრიალდა და ზურგს უკან ქოშებიც შეათამაშა. ქოშების შეთამაშება დედა-დედოფლობის პერიოდში ისწავლა, როცა მისი ვაჟი პირველკაცობდა. მაშინ მთელი ქვეყნიერება ფეხქვეშ ეგებოდა, ცაში აჰყავდათ, ლექსებს უწერდნენ, მის სილამაზეს უმღეროდნენ. მერე, როცა მისი ვაჟი პირველკაცობიდან გააძევეს, ეს ყველაფერი თითქოს ჩაცხრა, მაგრამ აგერ, გამოჩნდა მოთაყვანე, რომელმაც მთელი სამყარო გადაფარა. იცის, ეს ჭორიკანა საზოგადოება მთელ დუნიას შეჰყრის - რათაო? რისთვინაო? რა დროს ეგ იყოვო? შვილი ტუსაღობაში ჰყავს, ეგ კიდენა ნირვანაშია ჩავარდნილიო. მოჰყვებიან ათას დოზანას და ოხრობას, აღარ გაჩერდებიან. ნეტავ მისი პირადი ცხოვრება ვისი გასარჩევია?

გუშინ ტელეფონით სადედამთილოს ელაპარაკა, სულ რაღაც ოციოდე წლით თუ იქნება უმცროსი. მე მესმის შენიო, ჩემი შვილისაცო, სიყვარულს რას გაუგებ, ჩემო ოლღა კი არა, ჩემო გიულიო? გინდა ოლღა ყოფილხარ, გინდა - გიული, მნიშვნელობა არ აქვს, ვისაც ჩემი შვილი ინდომებს, მეც ის მენდომება, მეც იმას მივიღებ, ამ შაბათ-კვირას რაღა იქნება და... იმ შაბათ-კვირას ლილოს ბაზრობაზე წაგიყვან, ზიზიებს გიყიდიო. საუბრის პირველი ნაწილი ძალზედ ესიამოვნა, მეორე - არა, ეტყობა, სადედამთილო აზრზე არ არი, რომ გიული „კლეჩატი პრავიზონკით" ლილოს ბაზრობაზე არ დადის, ჩინურ ტანისამოსს არ ყიდულობს. არაუშავს, როცა ოჯახში შევა, როცა მოშინაურდება და „პალაჟენიასაც" თავის ჭკუაზე დაამყარებს, მაგ საკითხსაც მოაგვარებს - ქალი ვარსკვლავებს ეთამაშება, მზეს ეუბნება, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო და ეს კიდე, ლილოს ბაზრობაზე წაგიყვან და ზიზიებს გიყიდიო. ბოლო ფრაზამ ნამეტნავად გააღიზიანა, მაგრამ ამ ეტაპზე თავი შეიკავა, უბრალოდ თემა შეცვალა, სამამამთილო მოიკითხა, რასა იქმს, რასა სჩადისო? რას უნდა იქმდეს და რას უნდა სჩადიოდეს, წელებზე ფეხებს იდგამს და იღლიებიდან ოფლსა ჰღვრისო, - მიუგო სადედამთილომ. ცოტა კიდე მოითმინოს, შემოვალ ოჯახში და მაგ საკითხსაც მოვაგვარებ, ეგღა მაკლია, ჩემმა მამამთილმა იღლიებიდან ოფლი ღვაროს და მერე მუწუკები გამოუვიდესო. სამულეც მოიკითხა, რას შვრება, რატომ არ თხოვდებაო? ეჰ, იგეთი ტალიკ-ტალიკა ბიჭები თხოულობდნენ, იგეთი ხმლებამოღებული ვაჟკაცები ემლეოდნენ, იტყოდი, ნეტავ თქვენ არ გიყუროთ, მა ვის უნდა ვუყუროვო? ყველა დაიწუნა, ყველას ხელი ჰკრა და ყველა განაგდო, - მიუგო სადედამთილომ და გულისთქმას თან ოხვრაც დააყოლა. არაუშავს, შემოვდგამ ფეხსა ოჯახში და გავათხუებ, იგრე არ დავტოვებ, მაგასაც მივხედავო, - ჩაილაპარაკა საპატარძლომ და დასძინა, მამას მოკითხვა გადაეცი, გავიგე, თურმე ჩემ ხსენებაზე ტლინკები უყრიაო. არა, ეგ მოულოდნელი ელდისაგან დეემართა, თითქოს მეხი დეეცა, მაგრამ უკვე გადაუარაო, - დაიწყო ქმრის „გაპრავება" სადედამთილომ და თემის შეცვლა მოიწადინა, ბიჭი, როგოა, როგო, მართლა სუნი ასდის თუ უგონებენო? მთლად არ უგონებენ, სუნი კი ასდის, მაგრამ მტრის ჯინაზე ჯერ არა ლპება. ღმერთმა ნურც დაალპოს, ეგ კიდე იტყვის თავის მჭახე სიტყვასო, - აუწია ხმას სადედამთილომ. იტყვის, მა არ იტყვის?! - აჰყვა სადედამთილოს საპატარძლო და ტელეფონით ხმოვანი კოცნა გაუგზავნა - პრუწუნიიიი!

გიული ნიკოლოზის გამოჩორკნილ „ტაბურეტკაზე" ჩამოჯდა, თითქოს დაიღალა, თითქოს მუხლებში წყალი ჩაუდგა და დაუმძიმდა. ეგრე არასდროს მოსვლია, ადრე უფრო მეტი სტრესული მდგომიარობა განუცდია, მაგრამ ენერგია არასდროს გამოსცლია. ამას წინებზე ექიმმა უთხრა, ეგ ჰასაკობრივი ამბავიაო. ჰმ... რა ჰასაკობრივი, მაგას ხო არ ძმარავს? ქალი ყოველდღიურათ იფურჩქნება და ეს კიდე - ჰასაკობრივიო. არა, ეს ალბათ სოციალური გადაღლილობაა, ჩაივლის ყველაფერი, ვაჟიც განტუსაღდება და ერთად წავლენ ბადენ-ბადენში, ყოველ დილა-საღამოს ისეირნებენ მდინარე ოსის სანაპიროზე და სულაც გადაივიწყებენ ამ უსიამოვნო წუთებს.

ტელეფონის ეკრანი აინთო, წითელზე ყვითლად დაიწერა: „ჩემი სუყველაყა". გიულის თვალები გაუცისკროვნდა, „ტაბურეტკიდან" წამოხტა, ანაზდეულად სარკეში საკუთარ თავს გახედა, მერილინ მონროს სტილში აყალყულ თმაზე ხელი ნაზად გადაისვა და ტელეფონის სენსორულ „კნოპკას" თითი დააჭირა:

- დიახ, ჩემო სუყველაყავ!

- რასა სჩადიხარ, ჩემო ციცქნავ? - გაისმა მეორე მხრიდან საგოზინაყე თაფლივით მდნარი კაცის ხმა.

- ვერაფერსაც ვერა ვჩადივარ, დაჭიმული ვარ „პრუჟინასავით", ირგვლივ უამრავი საქმეა და მე კიდევ ვარ ასე გაოჩნებული!

- გაოჩნებული?

- ჰო, გაჩერებული... აი, სახედარი რომ გაჩერდება ხოლმე ვენახის თავში.

- ოჰ, გიული, ჩემო აღმაფრენავ, შენ მე ყოველი დღის დასაწყისში თუ არა, დასასრულში მაინც მაოგნებ, საიდან ამხელა ერუდიცია და განათლება?

- რას გულისხმობ, ჩემო შოკმანჯევ?

- იმას ვგულისხმობ, რომ დედაქალაქში დაბადებულმა და გაზრდილმა ქალმა საიდან უნდა იცოდეს, როგორ ჩერდება სახედარი ვენახის თავში, ანუ როგორ ოჩნდება?

- ეჰ... დედული შემოევლოს ჩემ ტუსაღ შვილსა, მაგან მასწავლა ყვარელში ყოფნისას, როცა ვენახი იყიდა და იქაურმა გლეხებმა ერთი ჩუტრუკიც აჩუქეს. როცა ეს ჩუტრუკი გაიზარდა და სახედრად, ანუ ვირად იქცა, რატომღაც ვენახის თავში გაოჩნდებოდა ხოლმე, დადგებოდა და ველარ გაეგო, რომელ პლანში უნდა შესულიყო. არადა, ჩემ მიხოს ძალიან უყვარდა სახედრით მოტანილი წყლის დალევა, აქეთ-იქიდან კოკურებს გადაჰკიდებდა ხოლმე და მიდიიი, გააცუხცუხებდა იქვე მიწიდან ამოჩუხჩუხებული წყაროსკენ. როცა მიხო სახედარს გადააჯდებოდა, ძალზედ სასაცილოდ გამოიყურებოდა, ფეხები ძირს ეთრეოდა, მაგრამ რაკი ამ პროცესითა ტკბებოდა, ხმასაც ვერ ვიღებდი.

- ეჰ, მეც კი მიყვარს სახედრით მოტანილი წყლის ჩარაკრაკება, დაცვარულ კოკურას რომ ამოიღებ მოწნული გოდრიდან, განა მაგას რამე შეედრება? - ჩაიხვიხვინა კაცმა.

- არაფერიც არ შეედრება, დანამულ კოკურას რომ წამოიყუდებ და ცივი წყლით ყელს ჩაიკოკლოზინებ, ცხონებაა. ეგ იქით იყოს, ბოლო-ბოლო, რა გადავწყვიტეთ, ქორწილი ამ კი არა, იქით შაბათს გვექნება?

- რა თქმა უნდა, მაგაზე ხომ უკვე მოვილაპარაკეთ?

- ჰო, მაგრამ უკვე იმნაირი რაღაცები ხდება ამ ქვეყნიერებაზე, მეშინია, არ ჩაგვეშალოს!

- ჰმ... ეგ არ მოხდება, წინ ვერავინ დაგვიდგება!

- განა დაგვიდგება? ბიძინა ივანიშვილისას ვერაფერს გაიგებ, შეიძლება ისეთი რამე მოიგონოს, ქორწილის გადახდა შეუძლებელი გახდეს!

- ეგ მეც ვიფიქრე, - ამოიხვნეშა კაცმა.

- იცი, მაგას რანაირი ჩვევა აქვს? დილით სტაფილოს წვენს რომ დალევს, მიუჯდება ხოლმე „სტოლსა" და ჩამოსწერს ხოლმე ცუდი რაღაცების ნუსხასა: ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა, ამას გაუპატიურება, იმას ბიზნესის წართმევა, ამას ცოლის ჩამორთმევა. როცა ნუსხის შედგენას მორჩება, აიღებს, სათუთად ჭერში დებს და საჭიროების შემთხვევაში იღებს. სუ თვისა, რიცხვისა და წლის მიხედვით აქ დალაგებული, თანაც ზონარგაყრილ წიგნში გატარებული. ეგე, ჩემი შვილის ბედი სწორედაც მაგ ზონარგაყრილ წიგნში ჰქონდა შეტანილი, თვითმხილველებმა მითხრეს, მიშას გვარი წითელი პასტით შემოხაზა და იქვე რეზოლუციაც დაადო, აპრუწუნი და პრუწუნიო.

- ეგ რას ნიშნავს?

- სუ ციხეშიო... ანუ რამდენიც არ უნდა აპრუწუნოს, მაინც დაიჭირეთო. ეხლა რო იძახიან, ესაო და ისაო, ეგრე არ არი, ჩემი შვილის ბედი მაგან დიდი ხნის წინათ გადაწყვიტა.

- თუმცა ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მრავალჭირნახული საქართველოს ყველაზე დიდი მხედართმთავარი ტყვეობიდან დავიხსნათ! - აბობოქრდა კაცი.

- დიახაც, განა დღეს დედამიწის ზურგზე მსგავსი მხედართმთავარი არსებობს?! - შესაბამისად აჰყვა გიულიც.

- არა, არ არსებობს... ის არის სარდალი სრულიად უკრაინისა, ამერ-იმერისა, ცხუმ-აფხაზეთისა, პაკისტანისა, გაერთიანებული საემიროებისა, ქვემო და ზემო ბოდბისა, ქვემო და ზემო მონღოლეთისა, ქვემო და ზემო კორეისა, ბელადი ვინიტუ ინჩუჩუნას ტომისა, შემმუსვრელი თვალუწვდენელი რუსეთისა და დამჩოქებელი გათახსირებული პუტინისა. ხომ არაფერი გამომრჩა? - შეყოვნდა კაცი.

- გამოგრჩა... შენ ხაზგასმით უნდა აღნიშნო, რომ იგი არის დამაარსებელი და დამფუძნებელი არაერთი სახელმწიფოისა - სად იყო უკრაინა მანამ, სანამ მას ოდესის გუბერნატორად დანიშნავდნენ? სად იყო საქართველო, სანამ მას პრეზიდენტად აირჩევდნენ? ქართველებმა კიტრის მწნილის ჩადებაც კი არ იცოდნენ. აღარაფერს ვამბობ ყაბაყისა და ბადრიჯნის მოყვანაზე!

- გეთანხმები, ჩემო სუყველაყავ, კიდევ ბევრია დამსახურებანი ჩემო მომავალი შვილისა და ამას ვერავინ დაივიწყებს, ეგრე სად არი, თაყაო?!

- თაყა ვინ არი?

- არ ვიცი, წინაპრები იტყოდნენ ხოლმე ეგრე, როგორც ჩანს, ერთი თავნება ვინმე იყო სოფელ ყიზილაჯლოში!

- ააა... კი, ბებიაჩემ მაკრინესგან მახსოვს, იყო ეგეთი ვინმე ყიზილაჯლოს მისადგომებთან მოურავი თაყა.

- დიახ, როგორც ჩემი მეგობარი იულონ გაგოშიძე იტყოდა, ძველი სიგელ-გუჯრების თანახმად, იგეთი თავხედი მოურავი ყოფილა, თურმე მისი შიში და ზარი ავლაბრამდე აღწევდა. მერე გამოჩენილა ვინმე ჭუჭუნტალა, რომელსაც უთქვამს, ეგრე სად არი, თაყავო, შენ რომ მამული გაჰყავო? ეტყობა, მაგ მაჭუნტალას მამული გაუყო და ამან ველარ მოითმინა. სხვათა შორის, ადამიანი, რომელიც მოურავ თაყას შეეწინააღმდეგა, ძალიან მაგონებს მიშას, ესეც ეგეთი იყო ციხეში ჩაჯდომამდე, არავის ეპუებოდა, სიმართლისთვინ კედელს გაარღვევდა, ცხრა მთას გადაახტებოდა და უკან არასგზით არ დაიხევდა.

- აფერუმ, მა ეგ სატუსაღოში უნდა იჯდეს და ბიძინა კიდე გარეთ დადიოდეს? - ამოიხვნეშა კაცმა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა.

აბა, დროებით, ჩემო სანუკვარო სუყველაყავო, მიუგო გიულიმ და ტელეფონი გათიშა. ადგა, მერილინ მონროს სტილში დავარცხნილ თმაზე თითები კიდევ ერთხელ სათუთად გადაისვა, საკუთარ თავს გაუღიმა და ჩაიდუდუნა: ეგრე არ არი, თაყავო, შენ რომ მამული გაჰყავო!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# შინერსს ემოწაფეთ მხოლოდ!..

**მუშოთ მოკო, უსკანეთუ ტყურათ შური მიდგუდასუ...**

**ხალხური**

მოხდა ისე, რომ 2022 წლის 17 მარტს გავიკეთე ურთულესი უროლოგიური ოპერაცია. ასეთი გამოწვევის წინ ამ სახით გავესაუბრე ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, სახლიკაცებს, მოდგმას: ...სამწუხაროდ, აგრესიული გლობალიზმის გეოპოლიტიკას, თანამედროვე „მსოფლიო წესრიგის" პირობებში, განსაკუთრებით ჩვენს მიმართ, არ გააჩნია ზნეობრივი განზომილებები. ამგვარი ქუჩისფსკერულობიდან გამოსავალი ერთია, — შურობომუს დედან შინაარსს ჩაუმშობლიურდით ჯერ, რათა, სრულიად საქართველოს ემუხლმაგროთ ღირსეულად. ასე ქენით, კი-მეთქი, ში, გნებავთ, მესტიაში თუ მრავალტანჯულ სარფში, — უჯუშ კაკაჩია, ჩალისიმე ფილფანი ან ალე თანდილავა, ანთებული სანთლით ხელში, ფეხზე წამოუდგება **გრემს, გორიჯვარს, გარეჯს** (დიდება მათ სახელს!)...

ყველა ესენი კი ერთად ასეთივე სულისკვეთებით საერთსხეულოდ მოითვალსაწიერებენ თუშეთს, ხევს, ლაზეთს, ჰერეთს, ლორეს, ტაოს, აჭარას.... ჩაეძიებიან თავიანთ ქალდეურ (არა მხოლოდ) ძირებს...

შემთხვევითი არაა, რომ მეოცე საუკუნეში ქართული სულიერებისა და სიტყვაკაზმულობის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ ერთიანი საქარათველოს საზოგადობის — სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრად და კირითხუროდ ლაზი უტა დაგვისურათხატა, გაგვისახეზოგადა (რასაც,



იმისთვის, რომ ქრისტესმხედრებად გაუქუდზეკაცდეთ ღვთისმშობლის წილხვედრილობას და ამის გასწვრივ, ღირსებაში მონავარდენი, უმცდარ ნიშანსვეტად უნდა დადგეთ ქართველთა გონითი განფენის სივრცეში.

**„დილემა კაცობრიობის წინაშე"**-ს, **„საქართველოს სულიერი მისიი"**-სა და **„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებ"**-ის ავტორმა, დიდმა მოაზროვნემ, ეროვნულმა და სახელმწიფო მოღვაწემ, მეცნიერმა, ქრისტესმხედარმა, დიახ, ერის წინამძღოლმა ზვიად გამსახურდიამ ერთდროულად და უკანდაუხევლად მიახალა ევრო-ატლანტიკურ რასიზმსაც, კრემლიდანურ ველიკოდერჟავნიკობასაც და მათსავით მობაცაცე ნებისმიერს (რასაც შეეწირა კიდეც წამებულის ხვედრით) — **ეროვნება არა აქვს(ო) ცხოველს!..**

ცხადია, ერს თუ დაეწრიტა თავისი მაწყალუხვებელი სამხარეო შემომდინარებანი, იგი გაქრება, ალიგვება, გამსუბუქყოფაქცევდება.

გეთანხმებით, **„ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად"** სამშობლოს გათითოკაცება რეგვენთა და წინგაუხედავთა მესადავეობით, რა თქმა უნდა, მაცალკევებელია, მაგრამ იგივე **„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო" და ა. შ.** (დუტუ მეგრელი) სრულიად საქართველოდ ერთსხეულდება, როდესაც ასეთ ქვემორე მოცემულობას, ყოველდღიურობის სულიერ მოთხოვნილებად, აზროვნების წესად და დღის წესრიგად დაიდგენ: ვთქვათ და, თელავის რომელიღაც სოფელში მიხო ღობეგლეჯიაშვილს **„სი ქოული, ბატა"**-ს წაღიღინება მოეწყურვილა, სულში ჩაიფესვა ის, ხოლო ზუგდიდროგორც ყოფითი, ასევე მსოფლმხედველობრივი და თვითმოძიებითი საფუძველი დიახაც რომ ქონდა).

მართალია, ამ დროს ლაზეთი დედასაქართველოდან პოლიტიკურად ჩამოგლეჯილი გახლდათ, მაგრამ სანამ ქართული მხარეების ერთსხეულება ჯიშისმიერ მეხსიერებაში მუხლმაგრობს და მტკიცეა სულიერებაში, ერი თავისი გონითი განფენის სივრცეში ყოველთვის მოახერხებსო ცნობიერ თუ თვითშეგნებით უბზარობას, — ამით ეს შეგვახსენა და გვითხრა გვითხრა დიდმა **„კოლხურმა კოშკელმა"**.

უდავოდ დიდი მოღვაწე და წმინდა ილია მართლის ღირსეული თანამოსანგრე გახლდათ ბატონი კონსტანტინე. ჩემი აზრით, ასე იმიტომ მოხდა, რომ მას, სალიტერატურო დედოქართულის გენიოსს, თავისი მეგრული რაგადობა, ანუ ფუძემდებლური საწყისთაგანი სრულიად საქართველოს ვინაობისა, ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. **ამავე დროს, ცადწვდომილ სალიტერატურო ქართულზე საუბრისას ელიანდაგებოდა ისეთ ცნობიერ თვითგამოსახვასა და საწარმოთქმო ხორხისმიერებას, რომელიც მხოლოდ სამეგრელოშია.**

აქ ერთიც უნდა გავიხსენო: მეოცე სუკუნის 60-იან წლებში დიდ ქართველ მწერალს, უკვე მსოფლიოში სახელგანთქმულ მოღვაწეს — ერმა რომ დიდოსტატი უწოდა, შეხვედრები მოუწყვეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში თავის 70 წლისთავთან დაკავშირებით. გასაგებია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველომ (აფხაზეთმა) განსაკუთრებული პატივი მიაგო **„მთვარის მოტაცების"** ავტორს.

როდესაც გალის საზოგადოებასთან, ანუ სწორედ ამ **„მთვარის მოტაცების"** ცნობიერ სივრცეში შედგა შეხვედრები, შემაჯამებელი საღამოს შემდეგ გაიმართა საბედიანოელებისათვის, მეტიც, საქართველოს გამაერთიანებელი მეფის — ბაგრატ მესამის სავანისათვის საკადრისი ნადიმიც (როგორც იცით, იგი ბედიაში ნიშანსვეტობს დღესაც თავისი წმინდა საფლავით და მეაღვირეობს ერის სულისკვეთებას).

თამადამ, საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგად აფხაზეთის ასსრ-ად, ანუ „სხვათა ქვეყნად" დადგენილი მარადქართული ცხუმ-აფხაზეთის კომპარტიელმა „პირველმა", დიდოსტატი რუსულად, ანუ „ნა ობშემ იაზიკე" ადღეგრძელა.

ამის საპასუხოდ, დიდმა ქართველმა მწერალმა ხაზგასმულად საზოგადოებას მხოლოდ მეგრული რაგადობით მიმართა და ნადიმის ბოლომდე ასე ეურთიერთა მისთვის ძვირფას მასპინძლებს (სხვათა შორის, ის კომპარტიელიც მშვენივრად ფლობდა ამ რაგადობას და აჰყვა მას).

ამაში სადიდებო ისაა, რომ დიდოსტატმა კონსტანტინემ ამით ხმამაღლა განაცხადა, — დიახ, საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მესვეურთა გასაგონად გააოთხივკუთხა, რაცაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), ანუ იგივე ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს დედანი შინაარსი...

აქვე უნდა გავიხსენო რეფო-შეშელეთელი (გალის რაიონი) ილია ვეკუა, უდიდესი ქართველი, მსოფლიოში ერთერთი ტოლუპოვარი მოაზროვნე, მოღვაწე, მეცნიერი... მანაც, უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, თანმიმდევრულმა ქართველმა განმანათლებელმა, როდესაც მიწიერებიდან ზეციური საქართველოსაკენ გაისვლაგეზა, თავისი რეფოშეშელეთური რაგადობით შეაფასა წუთისოფლობა, — „პოტიკი-რე"-ო, ანუ მარადიულობა ღვთივწვდომილებააო მხოლოდ.

არაფერს ვამბობ წმინდა ამბროსი ხელაიას თავანკარა ილორულ რაგადობაზე.

რომელი ერთი შეგახსენოთ.

ეს, რაც შეეხებათ ერისა და კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილ პიროვნებებს. ახლა ერთ ჩაგუნია კაცზე — კაპტოზე უნდა გიამბოთ.

ის დროა, როცა **„ჩქინ ბერია"** — კრემლის ერთერთი მესადავე ლავრენტი პავლოვიჩი გახლდათ. ამის მიუხედავად, საქართველოში ავადსახსენებელი **„მეგრელთა საქმე"** დაგრიგალობდა.



საქართველოს კომუნისტური პარტიის გალის რაიკომის, არ ვიცი პირველი თუ მეორე მდივნის, ვთქვათ, პანტეს, მეზობლად ცხოვრობდა ეს ჩვენი კაპტო, თავისი ლასკარით. პირდაპირ ვიტყვი, მისი კარმიდამო არ ტოვებდა შეძლებული კომლის შთაბეჭდილებას.

მდივანს არ ესახელებოდა კარის მეზობლის ასეთი ხელმოკლეობა და თავისი დედის პირით შეუთვალა: პარასკევს, დილით, ამა და ამ საათზე მოვიდეს ჩემთან, დავეხმარები, სახლს შევაკეთებინებო.

არადა, ჩაის გამალებული კრეფაა, ყოველდღე გეგმის შესრულებას აზუსტებენ, საკუთარი თავის მოსაფხანი დრო არავის აქვს, ირგვლივ შიშია, **„მეგრელთა საქმე"** ჩვენც არ შეგვეხოსო.

პარასკევს კაპტო დანიშნულ დროს მიადგა მდივანს, მისი თანაშემწის ნებართვით, კარებზე ზრდილობიანად დააკაკუნა და მოკრძალებით შევიდა. მდივანმა ხელით ანიშნა: — აქეთ დაბრძანდით, ახლავე მოვრჩები და შენს გასაჭირს მივხედოთო.

შეგახსენებთ, იმ დროს დასაქოქი ტელეფონების ხანა ყოველდღიურობდა და ერთი გაწამაწია სჭირდებოდა ვინმესთან დაკავშირებას.

ჰოდა, ამხანაგი პანტეც, კარგა ხნის ქოქვის შემდეგ, როგორ იქნა, დაუკავშირდა ვიღაცას: — **ალო, ვოროშილოვი რექო (კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ხარო?), მუჭო გიღუნა საქმე?**

მოპასუხის ხმა კაპტომაც გაიგონა, მან თავანკარა მეგრული რაგადობით მდივანს მოახსენა, რომ ჩაის კრეფის გეგმა სრულდება, მეცხოველეობაშიც არა აქვთ ჩამორჩენა, მოვლილია ყანები და ა. შ.

კმაყოფილი მდივანი დაემშვიდობა თანამოსაუბრეს და მორიგს შეეხმიანა. იგივე დავიდარაბის გავლის შემდეგ: — **ალო, მალენკოვი, მუ ქიმინით, გეგმას ქასრულენთო?**

იქიდანაც დამამშვიდებელ პასუხს გალელი მეგრელის საუბრიდან ვერ გაარჩევდი.

სასწაული ტელეფონის მესამე დაქოქვაზე მოხდა: **ალო, ბერია რექო, აშ ქომრჩქილ, სკან დანიშვნაშა ხანდა მიშამიძ, ონჯღორეს მოძირანქ, კინოსკილადირ რეთ!..**

კაპტო ჩაგუნია კი იყო, მაგრამ აქ მიხვდა, რომ ამ უხერხული საუბრის მოწმე არ უნდა ყოფილიყო, ჩუმად ადგა და კარისკენ გაიძურწა.

**— თუთაშხას, ოჭმარეს, ჩხორო საათის გეგმაშ შესრულებაშ ანგარიშ ვამომღიდა, უკულ სკან დუც დაბრალ!..** — მოესმა განცვიფრებულ კაპტოს ზურგსუკან მდივნის ბობოქარი ხმა.

მიუხედავად იმისა, რომ კაპტო ამ ჯერზე საპირადოს ვერ ეწია, მაინც რაღაც შინაგან კმაყოფილებას გრძნობდა. შინისაკენ გაითოხარიკა. თავის შესახვევთან ამხანაგ პანტეს დედას — ძაბას გადაეყარა. მან ღიღინით მიმავალი კაპტო რომ დაინახა, ჰკითხა, როგორააო საქმე, —**ქოძირიო პანტე?**

— **ნეეე... (იგივეს ნიშნავს საბედიანოში (გალის რაიონში), რასაც „იმე"... დავით კლდიაშვილის იმერლებთან), პანტეს ჩქიმდა ჩოდუნო, თუთაშხას, ჩხორო საათის ბერია აფ ჭანაფილ... (ჩემთვის სცალიაო პანტეს, ორშაბათს, ცხრა საათზე, ბერია ჰყავსო დაბარებული).**

ცოტა ხნის შემდეგ სასიამოვნოდ განცვიფრებულმა კი არა, გაბედნიერებულმაც კი, სულაც ფეხებზე რომ ეკიდა საკუთარი გასაჭირი, დაამატა და გაანდოსავით: — **მუს გიწინქ, ქოიჩქუნო, მუშ მაჯგირა წკონდა მარგალურ ნოჩქენა ვოროშილოვც დო მალენკოვც...** მეტი რა ექნა ამ კაცს, ის უხაროდა, ვოროშილოვი და მალენკოვი მეგრულად რომ „ლაპარაკობდნენ" გაგანია „მეგრელთა საქმის" მიუხედავად...

სადაც გინდათ, იქ დავიფიცებ, ჩაგუნია კაპტო უძახე შენ და მას ასევე აღაფრთოვანებდა იგივე ტელეფონში ვოროშილოვისგან და მალენკოვისგან თუშური, სვანური, აჭარული, იმერული, კახური და ა. შ. შემოხმიანებებისათვის რომ მოეკრა ყური.

ახლა როგორ ფიქრობთ, სად და რად ეძებთ ამდენხანს ამაოდ, — კაპტოს ჭერქვეშ უნდა დაიგულოთ მომავალი ამბროსი ხელაია, კონსტანტინე გამსახურდია და ილია ვეკუა. სწორედ ამნაირ სულისკვეთებაში, რომ არ ელი ისე, რაჟიკუნას, მიხოს, ირაკლიეს, სოზარის... სასახლიკაცო ლასკართან ეროვნულ ერთსხეულად იწრთობა სრულად საქართველოს ნაცადი კირითხურო, იწმინდება ეროვნული სული, დიახ, აქ მუხლმაგრდება **„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველო"**, აქ მკაფიოვდება უხსოვარ ქალდეამდე გაწვდენილი მეხსიერება!..

**ჯგრაგ გიორგი, ადიდე ერთობილი საქართველო!..**

... და კიდევ — **„სი ქოული, ბატა, მა დომტალენქო, — ჭყოლირ ვორექ, ხართილ ვორექ, ვაშემბრალენქო?!."**

**სერგი (გიორგი) საჯაია**

2022 წ. 16 მარტი.

# პაპი ფრანცისკე: მესამე მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს



სამწუხარო ფაქტია — მსოფლიოში გახშირდა საომარი რიტორიკა. მაგალითისთვის თუნდაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიც საკმარისია. უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ცეცხლის შეწყვეტაზე საუბარიც არ უნდა. პირიქით, მოკავშირე ქვეყნებისგან სულ უფრო მეტ შეიარაღებას ითხოვს. მეგობრებიც აწვდიან, რითაც ხელს უწყობენ ომის გახანგრძლივებას.

უკრაინის ხელისუფლებამ, როგორც იქნა, გადაწყვიტა კონტრშეტევაზე გადასვლა ხერსონის რეგიონში, თუმცა ჯარის მანევრები მათთვის კატასტროფული შედეგით დასრულდა — ერთ დღეში კონტრშეტევისას დაკარგეს ორი ათასამდე მებრძოლი, 4 თვითმფრინავი, 3 ვერტმფრენი, 63 ტანკი და 58 ბრონირებული მანქანა... სამხედრო ექსპერტების თქმით, მსგავსი დანაკარგი ბოლო წლებში მსოფლიოს არც ერთ არმიას არ განუცდია. მათივე შეფასებით, ჩადენილია სამხედრო დანაშაული, რადგან მებრძოლები აშკარა სიკვდილზე გააგზავნეს. უცნაური ფაქტი მოხდა — შენიღბვის ნაცვლად უკრაინელებმა თავიანთ ტექნიკას მკვეთრი ყვითელი კვადრატები დაახატეს, რითაც აშკარა სამიზნედ აქციეს. გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაცია ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის ბენ უოლესის ხელმძღვანელობით დაიგეგმა. თუმცა ბრიტანელებს დღემდე კომენტარი არ გაუკეთებიათ. ბრიტანელები კი არა, ზელენსკის ხელისუფლებაც ყოველნაირად არიდებს თავს უაღრესად წარუმატებელ ოპერაციაზე საუბარს.



ზედიზედ ორჯერ სცადა უკრაინის დესანტმა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აღება, რომელსაც მარტის თვის დასაწყისიდან რუსეთის ჯარები აკონტროლებენ. ორივე შეტევაში უკრაინელებმა კვლავ დიდი დანაკარგები განიცადეს. მნიშვნელოვანი წარუმატებლობის მიუხედავად, ზელენსკის ხელისუფლება ბრძოლებს აგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს დროში ხარკოვის მიმართულებით აპირებს კონტრშეტევაზე გადასვლას. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მაგრამ სამხედრო ექსპერტები შეცდომად მიიჩნევენ ფრონტის ხაზის გაზრდას.

უკრაინას მხარდაჭერა მოკავშირეებისგან აქვს, როგორც ფინანსური და სამხედრო ტექნიკით, ასევე პოლიტიკური კუთხით.

ბრიტანეთის ჯერ კიდევ მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრის ელიზაბეტ ტრასის განცხადებით, პრემიერ-მინისტრად არჩევის შემთხვევაში პირველს ზელენსკის დაურეკავს. უფრო შორს წავიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი: „...რადგან დავპირდით, უკრაინისთვის დახმარება კვლავაც უნდა გავაგრძელოთ, ბოლომდე დავუდგეთ გვერდში. არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ ჩვენი გერმანელი ამომრჩევლები“. ბერბოკის განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია გერმანიის მოსახლეობაში და პოლიტიკურ წრეებში, რადგან ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზეა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კონგრესს დაჟინებით სთხოვს, დამატებით გამოყონ უკრაინის შეიარაღებისთვის 12 მილიარდი დოლარი. პროცესი 30 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს, რადგან ამ დღეს სრულდება ფინანსური წელი. შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტი უკრაინისთვის თანხას ვერ მიიღებს.

ფრონტზე წარუმატებლობის მიუხედავად, კიევის ცენტრალურ ქუჩაზე, ხრეშატიკზე, ტაშ-ფანდური ჰქონდათ გამართული. კადრები სოცქსელებში უკრაინელმა სამხედროებმა გაავრცელეს. „ჩვენ სისხლს ვღვრით, აქ ესენი მხიარულობენ. ვისთვის ვიბრძვით?!“ — კითხულობენ გაღიზიანებულები. ორგანიზატორებმა თავი იმართლეს: „რაც ვიცით, იმას ვაკეთებთ, იმით ვეხმარებით ჯარს. რუსულ სიმღერებს ხომ არ ვმღერით?“

ზელენსკიმ ყველა სახტად დატოვა — ორდენით „მამაცობისთვის“ დააჯილდოვა შოუმენი ვერკა სერდიუჩკა (კაცი, რომელიც მუდამ ქალის კაბით და სახით გამოდის) და თავისი მეგობარი ვინმე კოშევოი, კაცი, რომელმაც ჯარში წასვლაზე ტელევიზიით განაცხადა უარი — მე არ მეკუთვნის მიმდინარე ომში ბრძოლაო. ასეთია უკრაინული რეალობა.

ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურზე შეტევები საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსეთის მხარემ გაეროს უშიშროების საბჭოში რამდენჯერმე დააყენა საკითხი ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურზე საერთაშორისო ექსპერტ-დამკვირვებლების მივლინების შესახებ. უკრაინელები აეს-ის დემილიტარიზაციას, ანუ რუსი სამხედროების უპირობო გაყვანას ითხოვდნენ სადგურიდან. ექსპერტებისთვის უსაფრთხოების დაცვის გარანტიების არქონის საბაბით გაერომ რამდენჯერმე უარი განაცხადა ზაპოროჟიეში სპეციალისტების გაგზავნაზე. მსოფლიოს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში მზადყოფნას გამოთქვამდნენ უკრაინაში ჩასვლაზე.

ატომურ სადგურთან შექმნილი სახიფათო სიტუაციიდან გამომდინარე, გადაწყდა ორგანიზაციის ექსპერტების ზაპოროჟიეში მივლინება. დასაზუსტებელი იყო მარშრუტი, თუ რომელი მხრიდან ჩავიდოდა დელეგაცია. ზელენსკი დაჟინებით ითხოვდა ექსპერტების კიევის გავლით ჩასვლას ატომურ სადგურზე. გაერო და რუსეთის მხარე უყოყმანოდ დათანხმდნენ უკრაინელების მოთხოვნებს. ატომური სააგენტოს დელეგაცია 14 სპეციალისტის შემადგენლობით, შეთანხმებისამებრ, ჯერ კიევში ჩავიდა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, რაფაელ გროსის ხელმძღვანელობით. ზელენსკიმ შანსი არ გაუშვა ხელიდან, შეხვდა და ესაუბრა სააგენტოს ხელმძღვანელს.

დელეგაციამ ზაპოროჟიემდე მგზავრობას თითქმის ერთი დღეღამე მოანდომა. ვიდრე ჩავიდნენ, ატომურ სადგურზე რამდენიმე შეტევა განხორციელდა. უფრო მეტიც, ელსადგურზე დელეგაციის წევრების მისვლის დროსაც განხორციელდა შეტევა და ექსპერტებს თავშესაფარში ჩასვლა მოუხდათ. გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანდა გროსის შეშფოთებული სახე. მან დაუშვებლად და გაუმართლებლად შეაფასა ატომურ სადგურზე შეტევები. დელეგაციის წევრებს დაათვალიერებინეს ატომური სადგური, მიმდებარე ტერიტორიაზე აჩვენეს ჭურვების ნამსხვრევები, რომლითაც დაიბომბა აეს-ი. გროსმა მოითხოვა, ეჩვენებინათ რუსეთის ჯარების განთავსების ადგილი, მათი შეიარაღება. დელაგაციას 60-მდე სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტი ახლდა.

ატომური სააგენტოს დელეგაციის ნაწილი უკვე დაბრუნდა სათაო ოფისში. თუმცა რამდენიმე ექსპერტი ატომურ სადგურზე ინსპექტირების მიზნით დარჩა.

დისტანციური ბრძოლები გრძელდება აშშ-ში რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის. პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გასულ კვირას დონალდ ტრამპი და, საერთოდ, რესპუბლიკელები ექსტრემისტებად, ფაშისტებად მოიხსენია. „...ისინი (რესპუბლიკელები და ტრამპი) ექსტრემისტები არიან, რომლებიც ემუქრებიან აშშ-ის სახელმწიფოებრიობას“, — განაცხადა ბაიდენმა ფილადელფიაში მხარდამჭერებთან გამოსვლისას. მან ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და სუფლიორით სარგებლობდა, სადაც ტექსტი რამდენჯერმე საგულდაგულოდ შეამოწმეს. მოგვიანებით, პოლიტიკოსების კრიტიკის შემდეგ, ბაიდენმა შეარბილა გამონათქვამი, „ყველა რესპუბლიკელი არ მიგულისხმიაო“. უცნაური კომენტარი გააკეთა მისმა პრესმდივანმა კარენ ჟან-პირემა: „ფაშიზმია კონსერვატორების მიდგომა, რომლებიც ლგბტ-ებისა და სხვა უმცირესობების წინააღმდეგ გამოდიან“.

უპასუხოდ არ დატოვა დონალდ ტრამპმა ბაიდენი. იმავე ფილადელფიაში საჯარო გამოსვლისას მან თქვა: „...სწორედ ბაიდენი და მისი გუნდია აშშ-ისთვის ხიფათის მომტანი... მან შეურაცხყოფა მიაყენა 75 მილიონ ადამიანს, რომლებსაც ექსტრემისტები და ქვეყნის მტრები უწოდა. თუმცა საღამოს ნათქვამი დილით უკვე აღარ ახსოვს“. ტრამპმა მის საცხოვრებელში ჩატარებული ჩხრეკა ქვეყნის კანონების აბუჩად აგდებად შეაფასა. ბაიდენის მხარდამჭერი არხები რესპუბლიკელების დისკრედიტაციით არიან დაკავებული. პოლიტოლოგების შეფასებით, ამ მიზეზით დემოკრატები კარგავენ მხარდამჭერებს. მათივე თქმით, ვითარება ქვეყანაში შუალედურ არჩევნებამდე კიდევ უფრო გამწვავდება.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების ინფორმაციით, აშშ ტაივანს 1,3 მილიარდი დოლარის იარაღს მიაწვდის. ამით ჩინეთი გაალიზიანეს, რომლებმაც საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს შეიარაღებული ძალები. საყურადღებო განცხადება გააკეთა რომის პაპმა ფრანცისკემ: „...მსოფლიოში მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს“. პოლიტოლოგების ნაწილი არ ეთანხმება პაპს, შეიარაღებული დაპირისპირება არ არისო, მაგრამ არც არაფერი უკლია. ჰენრი კისინჯერის შეფასებით, „დღევანდელი მოქმედი პოლიტიკოსები არ წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებს“. ამიტომაც იფეთქა საპროტესტო აქციებმა ევროპის ქვეყნებში. დამოუკიდებელ ჩეხეთში მსგავსი გრანდიოზული აქცია არ ყოფილა — პრაღაში 100 ათასამდე ადამიანი ითხოვდა ხელისუფლების გადადგომას. „ჩვენ გვინდა ჩეხეთის ინტერესების გამტარებელი მთავრობა!“ — აცხადებენ დემონსტრანტები.



პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს გადადგომისკენ მოუწოდებენ ფრანგი დემონსტრანტები... საპროტესტო აქციებია გერმანიაშიც... თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც დემონსტრაციებია, ძირითადად, აპროტესტებენ ევროკავშირის მცდარ პოლიტიკას, რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს და ენერგეტიკულ კრიზისს.

გასულ კვირას რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში 91 წლის ასაკში გარდაიცვალა ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი მიშვიდობის დარგში მიხეილ გორბაჩოვი. მის დასაფლავებას მსოფლიოს ქვეყნების მეთაურებიდან მხოლოდ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი დაესწრო. ოფიციალურ ცერემონიაზე არ ჩავიდნენ აშშ-ის, გერმანიის, ბრიტანეთის ოფიციალური პირები, ქვეყნებისა, რომლებიც მისგან მართლაც დავალებული იყვნენ. დაკრძალვას არ დასწრებია რუსეთის პრეზიენტი ვლადიმირ პუტინი დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო. თურმე ასეთი ყოფილა ცხოვრება...

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ირანი – ჩვენი მეზობელი

## ირანი გუშინ, დღეს, ხვალ

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ.“ N22-27)

ბერლინში ამ აგენტებს ძალზე აფასებდნენ, რადგან არ იცოდნენ, რომ ისინი ჩეკისტებმა მხოლოდ დროებით დატოვეს და საბჭოთა უშიშროების სამსახურების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.

თეირანში სტალინის ჩასვლის წინა დღეებში ხოლტუსი, მაერი და მათი მეგობრები დახოცეს, ასე რომ, სავარაუდო იყო, ფაშისტური გერმანიის საუკეთესო აგენტი, ტერორისტი ოტო სკორცენი, რომელიც ოპერაცია „გრძელ ნახტომს“ ამზადებდა, ირანში ჩასვლის შემთხვევაში, პირდაპირ სტალინის უშიშროების სამსახურის ნკვდ-ს (ყოფილი ჩეკას) ხელებში ჩავარდებოდა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ინფორმაცია მოიპოვა ცნობილმა მეცნიერმა, ირანისტმა, მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ყოფილმა ჩეკისტმა მაღალჩნოსანმა და საბჭოთა და ირანის მკვლევართა სამეცნიერო წრეებში ცნობილმა ადამიანმა-ლეგენდამ დანიელ (დანიილ) კომისაროვმა.

1990-იან წლებში კომისაროვი უკვე 100 წლისა იყო და ჯერ კიდევ წარმოსადეგი, მოძრავი და მხიარული გახლდათ, მაღალ შუბლზე დიდი ნაიარევი ჰქონდა დარჩენილი, ხმლის დარტყმის კვალი იმ დროიდან, როცა ჩეკისტთა დამსჯელი რაზმის წევრი იყო და შუა აზიაში ისლამისტ პარტიზანებს - ბასმაჩებს ებრძოდა.



ის 1941-45 წლებში ირანში მუშაობდა და მრავალ სახიფათო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ყველაზე სახიფათო იყო საგანგებო დავალება (სპეცდავალება). კომისაროვი ნახევარი წელიწადი ცხოვრობდა, როგორც საბჭოთა უშიშროებისა სამსხურის ნკვდ-ს (ჩეკა) წარმომადგენელი ქურთების ტომში, რომელის ბელადიც ქალი იყო და ამ ტომს საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის საკმაოდ დიდი მონაკვეთი ეჭირა ისე, რომ კომისაროვის სიტყვით, იქ ბუზიც კი ვერ შეფრინდებოდა.

სტალინი საბჭოთა ტერიტორიებს ირანისაგან სრულ იზოლაციაში ამყოფებდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსაზღვრე ირანული მიწები საბჭოთა ჯარებს ჰქონდათ დაპყრობილი.

ერთხელ, 1970-80-იან წლებში, კომისაროვს, როგორც კონსულტანტს, საბჭოთა რეჟისორებმა — ნაუმოვმა და ალოვმა მიმართეს. ისინი სათავგადასავლო-საჯაშუშო ფილმის გადაღებას აპირებდნენ თეირანის კონფერენციის შესახებ. ცდილობდნენ, ყველაფერი სინამდვილეში მომხდარი ამბების მიხედვით გადაეღოთ და ფილმში მთავარი ადგილი „დიდ სამეულზე“ — სტალინზე, ჩერჩილსა და რუზველტზე გერმანელ ჯაშუშ-ტერორისტთა ჩაშლილ თავდასხმას ეჭირა, მაგრამ კომისაროვმა მათ იმედები გაუცრუა.

— მომისმინეთ, — უთხრა მან, თავდაცვის უმცირესი საფრთხეც რომ ყოფილიყო, სტალინი თეირანში არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდოდა.

რეჟისორები დაღონდნენ, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალეს და გადაიღეს ფილმი-ფანტაზია, რომელშიც საბჭოთა მზვერავმა (მსახიობმა კოსტოლევსკიმ) მტერს ათჯერ ზედიზედ ესროლა პარაბელუმიდან, რომელშიც მხოლოდ 8 ვაზნა ეტევა.

ერთი სიტყვით, 1941-46 წლებში ირანის ჩრდილოეთი ნახევარი საბჭოთა კავშირისადმი სრულ მორჩილებაში იმყოფებოდა.

1944 წელს რეზა შაჰი გარდაიცვალა და ირანის ტახტი მისმა ვაჟმა მუჰამმად რეზა-შაჰ ფეჰლევიმ დაიკავა. იგი ირანს 1944-79 წლებში მართავდა. დამხობილი იქნა აიათოლა ჰომეინის აჯანყების შედეგად და მისი გადადგომით დამთავრდა ირანში ფეჰლევის დინასტია.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა.

მას შემდეგ, რაც 1941 წლის აგვისტო-სექტემბერში ირანის ჩრდილოეთი ნახევარი კვლავ რუსებმა დაიპყრეს, მტკიცედ გადაწყვიტეს, ეს ქვეყანა ხელიდან მეტად აღარ გაეშვათ. სტალინი სიტყვით სცნობდა სპარსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, საქმით კი ირანში სეპარატისტულ გადატრიალებას ამზადებდა.

საბჭოელთა მთავარი ძალისხმევა სამხრეთ აზერბაიჯანზე, ანუ თავრიზისა და ურნიას ოლქებზე იყო მიმართული. მათი ანექსია, ანუ საბჭოთა სამფლობელოებისათვის შემოერთება ძალზე ადვილი საქმე გახლდათ და საბჭოელი კომუნისტებიც საქმეს შეუდგნენ.

სამხრეთ აზერბაიჯანსა და მთლიანად ჩრდილოეთ ირანს, ანუ საბჭოთა ოკუპაციის ზონას, კომუნისტური იდეოლოგიის — მატერიალიზმისა და ათეიზმის ფანატიკურად ერთგული და ამავე დროს ღრმად განათლებული აგიტატორების ლაშქარი შეუსიეს. მათი სამიზნე იყო ირანის ინტელიგენცია, განათლებულთა ფენა, რომელიც ყველაფერ ევროპულს სიხარულით იღებდა (კომუნიზმი, ანუ მარქსიზმი ევროპული მოძღვრება გახლდათ) და მოსწავლე-ახალგაზრდობა.

როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე საკუთარი იდეოლოგიის ღრმად მორწმუნე მქადაგებლებმა, განათლებულთა დიდი მასა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა გადაიყვანეს კომუნისტურ რწმენაზე, ათეიზმზე, ანუ უღმერთობაზე და იდეოლოგიაზე — ისტორიულ მატერიალიზმზე, ანუ კლასთა ბრძოლის თეორიაზე.

ბოლშევიკურ იდეოლოგიაზე ახლადმოქცეულ ირანის აზერბაიჯანელებს, რომლებმაც თავიანთი ტრადიციული რელიგია და მსოფლმხედველობა — შიიზმი უარყვეს, სტალინის საოკუპაციო ხელისუფლებამ ორგანიზება გაუკეთა, დააფინანსა და ირანის აზერბაიჯანში მათგან სასწრაფოდ შექმნა ორი პროსაბჭოური, ანუ საბჭოთა კავშირის მომხრე პარტია: აზერბაიჯანის სახალხო პარტია (შემოკლებული სახელწოდებით, ირანულად, „ტუდე“) და აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია, რომლებიც, ასევე, სასწრაფოდ გააერთიანეს სახალხო-დემოკრატიულ მოძრაობად.

ირანის აზერბაიჯანელები, რომლებიც თურქული მოდგმის ხალხია, დიდი ხანია სპარსელთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდნენ და ამიტომაც მასობრივად მიემხრნენ პროსაბჭოურ, ანუ საბჭოთა კავშირის მომხრე სახალხო-დემოკრატიულ მოძრაობას.

ამ მოძრაობამ საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლთა მხარდაჭერითა და დახმარებით თანდათან აიღო ხელში ძალაუფლება ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და 1945 წელს რუსთა საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ მართულმა შეიარაღებულმა და მხარდაჭერილმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი რეგიონის — ირანის აზერბაიჯანის ავტონომია გამოაცხადა, თავისი მთავრობა, მინისტრთა საბჭო და პარლამენტი, ანუ მეჯლისი შექმნა, ირანის ცენტრალური ხელისუფლების მართლწესრიგის დამცველი ძალები განაიარაღა და შექმნა შეიარაღებული ძალა, ანუ არმია.

ამის შემდეგ სამხრეთი აზერბაიჯანის ამ პროსაბჭოთა ხელისუფლებამ რეფორმების გატარება დაიწყო და გლეხობის უღარიბესი ნაწილის სასარგებლოდ კანონების მთელი სერია მიიღო. მიწები, რომლებიც ეკუთვნოდა ირანის სახელმწიფოსა და მემამულეებს, რომლებიც სამხრეთი, ანუ ირანის აზერბაიჯანის ახალ, პროსაბჭოურ, სახალხო-დემოკრატიულ მთავრობას გაექცნენ, ხალხს უფასოდ დაურიგეს; სულ 260 000 ჰა ფართობი. შემდეგ დაადგინეს: წარმოების იარაღები, მუშა-საქონელი და სათესლე მარცვლეული გლეხს უნდა ეკუთვნოდესო. თუკი გლეხს ეს ყველაფერი არ ჰქონდა, მემამულეს მისთვის სესხი უნდა მიეცა. ამ სესხის პირობები იყო: უპროცენტო ვალი მომდევნო მოსავლის აღებამდე და თუკი ამ ვადის გასვლის შემდეგ გლეხი ვალს არ გადაიხდიდა, იმავე გლეხებისაგან შემდგარი სოფლის კომიტეტი ვალის გადახდას მომდევნო მოსავლის აღებამდე გადაავადებდა ხოლმე.

ეს იყო საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური პოლიტიკური სკოლის იდეოლოგია, თუმცა, რადგან მემამულეებს ადგილზევე არ კლავდნენ, ეს მაინც დიდი დემოკრატია და კიდევ მეტი, ლიბერალიზმი იყო იმასთან შედარებით, რაც ბოლშევიკმა კომუნისტებმა რუსეთსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში განახორციელეს.

საბჭოთა კავშირის მიერ ინსპირირებულმა ამ სეპარატისტულმა მოძრაობამ სამხრეთი აზერბაიჯანის გარდა ირანის ქურთისტანშიც გაიმარჯვა. მღელვარებებმა მოიცვა ირანის მთელი ჩრდილოეთი, ირანის, მაზანდარანისა და ხორასნის პროვინციები.

1946 წლის იანვარში ირანის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უჩივლა საბჭოთა კავშირს— ჩემს საშინაო საქმეებში ჩაერია, სეპარატისტული ამბოხებები მომიწყო და ტერიტორიის ნახევრის წართმევას მიპირებსო. გაეროს უმაღლესი ორგანოს — უშიშროების საბჭოს სხდომაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ამ საკითხს ვეტო დაადო, რითაც არა მარტო ირანის საკითხის გადაწყვეტა, არამედ განხილვაც კი აკრძალა.

საბჭოთა ოფიციალური შეხედულებები ამ შემთხვევის თაობაზე ყველაზე მკაფიოდ გადმოსცა საბჭოთა მეცნიერმა, ირანის მკვლევარმა, პროფესორმა მ.ს.ივანოვმა. „ჰაკიმის (ირანის პრემიერ-მინისტრი) მთავრობამ, რომელსაც ამისთვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, 1946 წლის იანვარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დააყენა საკითხი ირანის საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩარევის შესახებ. მცდელობა, გაერო ირანელ რეაქციონერთა პოზიციების განსამტკიცებლად გამოეყენებინათ, ჩაიშალაო“.

ირანის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნახევარი სწარაფად მიდიოდა საბჭოური რეჟიმების ჩამოყალიბებისა და შემდეგ საბჭოთა კავშირთან შეერთების გზით. სპარსეთის შაჰთა და მის მთავრობას ამ პროცესისათვის ხელის შეშლის არავითარი საშუალება არ ჰქონდათ, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ საბჭოთა კავშირს მალე ახალი მოკავშირე რესპუბლიკები — სამხრეთი აზერბაიჯანი, ქურთისტანი, გილანი, მაზანდარანი და ხორასანი შეემატებოდნენ.

მაგრამ საქმეში ჩაერივნენ ბრიტანეთი და აშშ; მათ სტალინს ულტიმატუმი წაუყენეს: ან დაუყოვნებლივ გაიყვან საბჭოთა ჯარებს ირანიდან, ანდა სამხრეთ ირანში მყოფი ჩვენი ჯარები გაანადგურებენ მათ - ბრძოლაში ატომურ იარაღს გამოვიყენებთო.

აშშ-ს ახალჩამოგდებული ჰქონდა ატომური იარაღი ჰიროსიმასა და ნაგასაკში. საბჭოთა კავშირთან საომრად 150-მდე ატომური ბომბი და საბჭოთა იმპერიის დაბომბვის გეგმაც მზად ჰქონდათ. ამ გეგმის მიხედვით, მოსკოვში 8 ატომური ბომბი უნდა ჩამოეგდოთ, მაშინდელ ლენინგრადში — 7, კიევში —6, თბილისში — 1 და ა.შ. ამერიკელ სტრატეგებს არც ერთი მნიშვნელოვანი საბჭოთა ქალაქი არ ჰქონდათ „ყურადღების მიღმა“ დატოვებული.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ მაშინდელი ატომური იარაღი შედარებით სუსტი იყო და თითო ბომბი მხოლოდ 300 000-მდე ადამიანს კლავდა, პირველი ატომური დარტყმებისთანავე, რამდენიმე საათში დაიხოცებოდა 45 მლნ-მდე საბჭოთა მოქალაქე, უფრო მეტი, ვიდრე მთელ მეორე სამამულო ომში.

სტალინს ამერიკელთათვის საკადრისი პასუხის გაცემა არ შეეძლო, საბჭოთა დაზვერვამ ამ დროისათვის ახლადმოპოვებული ჰქონდა ამერიკული ატომური ბომბის დამზადების ტექნოლოგია, მაგრამ 100 და მეტი საბჭოთა ატომური ბომბის დამზადებას დრო სჭირდებოდა, სულ ცოტა, 2-3 წელიწადი და მანამდე საბჭოთა იმპერია ამერიკის პირისპირ უიარაღოდ რჩებოდა.

ამერიკელებს მიაჩნდათ, რუსები ველურები არიან, ატომური ბომბის დამზადებას ვერასდროს შეძლებენ და შეგვიძლია, ისინი სამუდამოდ დაშინებულები გვყავდესო და მართლაც, სანამ საბჭოთა კავშირს ამერიკასთან საბრძოლველად ატომური იარაღი არ ჰქონდა, ამერიკელთა მუქარამ გასჭრა და სტალინი, ისევე, როგორც ბრიტანეთის მმართველები — ჩერჩილი და კლემენტ ეტლი, აშშ წინაშე ზედიზედ წავიდნენ დათმობებზე.

ჯერ იყო და, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის მოკავშირე იაპონია სამი მეოთხედით საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს, წესით და რიგით, იაპონიის ტერიტორია სამ თანაბარ ნაწილად უნდა გაეყოთ და იაპონიასთან მეომარ სამივე მოკავშირეს - საბჭოთა კავშირს, აშშ-სა და ინგლისს თითო მესამედი უნდა გაეყოთ, მაგრამ ამერიკამ მოითხოვა, მე ატომეური ბომბი მაქვს, იაპონია მე უნდა დავიპყრო და სრულად ჩემს მორჩიელებაში უნდა დარჩესო.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი, რომელთაც იაპონელებთან ბრძოლაში, ზღვაში და ხმელეთზეც, უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს, იძულებულნი გახდნენ ამერიკელთა მოთხოვნას დამორჩილებოდნენ. მას შემდეგ იაპონია აშშ-ის ერთპიროვნული მოკავშირე და ნახევრად კოლონიაა.

საბერძნეთში, სადაც არც საბჭოთა, არც ამერიკისა და არც ინგლისის ჯარები მანამდე არ შესულიყო, საბჭოთა დაზვერვის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, წარმოიქმნა პროსაბჭოური პარტია, რომელმაც ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირთან ომში დასუსტებით ისარგებლა, საბერძნეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა, საბერძნეთი გერმანელ დამპყრობთანგან გაათავისუფლა, შეეცადა ძალაუფლება ხელთ ეგდო და პროსაბჭოური, ანუ საბჭოთა კავშირის ხელქვეითი სახელმწიფო შექმნა.

ამის გამო საბერძნეთში კომუნისტებს, ანუ პროსაბჭოელებსა და ანტიკომუნისტებს, ანუ მოწინააღმდეგეებს შორის სამოქალქო ომი გაჩაღდა.

კომუნისტები იმარჯვებდნენ.

საბერძნეთი კომუნისტური ბლოკის ქვეყანა ხდებოდა.

ამ დროს ინგლისმა და ამერიკამ საბჭოთა კავშირს მუქარით მოსთხოვეს: ჩვენ საბერძნეთში შევიჭრებით, ანტიკომუნისტებს მივეშველებით, საბერძნეთს დავიპყრობთ და ბერძენი კომუნისტებისა და საერთოდ, საბერძნეთის დახმარება არც გაბედოთ, თორემ ატომური ბომბებით დაგბომბავთო.

სტალინს სხვა გამოსავალი არც ჰქონდა და დასთანხმდა.

(გაგრძელება იქნება)



# ვინ აგზავნის დედამიწის ბირთვიდან შეტყობინებებს?

2012 წელს ამერიკელმა მეცნიერ-ფიზიკოსმა ბრუქს ენდრიუმ განიზრახა ექსპედიციის ჩატარება ჩრდილოეთ პოლუსზე, ვინაიდან მიაჩნდა, რომ იქ უნდა ყოფილიყო ჩასასვლელი მიწისქვეშა სამყაროში. ის იზიარებდა ღრუ დედამიწის თეორიას, სადაც უნდა ეარსება საკუთარ ცას და საკუთარი მზეს. ამის შესახებ მან ეგვიპტური მითებიდან შეიტყო, სადაც ნახსენებია მიწისქვეშა მზე, როგორც "შუაღამის მზე". მეცნიერი ეგვიპტის მითების კვლევის საკითხს თანამედროვე ფიზიკის, კოსმოლოგიის, შემეცნიებისა და დროში მოგზაურობის კუთხით უდგებოდა. მისი აზრით, აბიდოსში ნაპოვნი ხელნაწერების მიხედვით, ეგვიპტელები მოსალოდნელ კატასტროფებს გაექცნენ, რომლის



შესახებ წინასწარ იცოდნენ და ამიტომ გადაინაცვლეს მიწისქვეშა სამყაროში. ბრუქს ენდრიუ ახსენებდა მიწისქვეშა ქალაქ დამენჰურს, სადაც თითქოს ეგვიპტელებს უნდა გადაენაცვლათ. მეცნიერის აზრით, იქ დრო შენელებას იწყებს სინათლის სხივის სიჩქარესთან შეფარდებით. მსგავს თეორიას გამოთქვამდნენ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ ტოლტეკებთან დაკავშირებითაც. თითქოს ისინი დროში გადანაცვლების უნარს ფლობდნენ და ამიტომ მოულოდნელად გაქრნენ. უცნობია შეძლო თუ არა ბრუქს ენდრიუმ საკუთარი პროექტის განხორციელება საკმარისი ფინანსების უქონლობის პირობებში. ამაზონის, ბრაზილიის, ვენესუელის აბორიგენ ინდიელ მაკუშთა ლეგენდების თანახმად, ისინი ცეცხლის შემქმნელი და ღრუ დედამიწის დამცველი მზის შვილების შთამომავლები არიან. ტომის ზეპირსიტყვიერი ლეგენდები გვიამბობენ დედამიწის შიგნით მათ მოგზაურობაზე.

ლეგენდის მიხედვით, 1907 წლამდე მაკუშები შედიოდნენ გამოქვაბულში და მოგზაურობდნენ თხუთმეტი დღე დედამიწის შიგნით. სწორედ იქ, სამყაროს მეორე ბოლოს, დედამიწის შიგნით, ცხოვრობენ სამი-ოთხი მეტრი სიმაღლის გოლიათები. მათ წინაპრებს დაევალათ შესასვლელის დაცვა, რათა უცნობები არ შესულიყვნენ. ბევრი მიიჩნევს ამ ლეგენდას კიდევ ერთ მითოლოგიურ ისტორიად, მაგრამ ინდიელებისთვის ლეგენდა აბსოლუტურად რეალურია, ვინაიდან მათ წინაპრებს ურთიერთობა ჰქონდათ მიწისქვეშა სამყაროს უძველეს ხალხთან. ისინი ყოველთვის იყვნენ და დარჩებიან დედამიწის შიდა შესასვლელის მცველებად.

ერთხელ ბრიტანელი მკვლევარები ჩავიდნენ ამაზონზე ოქროსა და ალმასების საძიებლად. ისინი გამოქვაბულისკენ გაეშურნენ განძისთვის...რათა აღარასოდეს დაბრუნებულიყვნენ უკან. ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის ბოლოდროინდელი კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ დედამიწას აქვს მეხუთე შრე "შიდა ბირთვის" სახით. მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ აღმოჩენის შედეგად მოგვიწევს სახელმძღვანელოების გადაწერა. დედამიწის ბირთვის გამოკვლევამ ბიძგი მისცა თეორიას დედამიწის ღრუში მცხოვრები ადამიანების შესახებ. ამასთან, ჩნდება დამატებითი მტკიცებულებები, ისინი არა მარტო არსებობენ, არამედ ადამიანზე უფრო მაღალი ინტელექტის მქონენიც არიან. დედამიწის სტრუქტურა შრეებადაა დაყოფილი. ოთხი შრე, ქერქი. მდნარი გარსი, თხევადი გარე ბირთვი და მყარი შიდა ბირთვი. მეცნიერთა ბოლო დროინდელმა აღმოჩენამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ადრინდელი წარმოდგენა დედამიწის აგებულებაზე.

**Journal of Geophysical Research**-ში გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით მტკიცდება მეხუთე შრის არსებობაც-დედამიწის შიდა ბირთვი. კვლევების მთავარი ავტორი ჯოან სტივენსონი აცხადებს, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ ეჭვობდნენ, რომ დედამიწაზე შეიძლება ეარსება სხვა სტრუქტურებსაც. მკვლევართა ჯგუფმა აღმოაჩინა ცვლილებები დედამიწის ბირთვის რკინის სტრუქტურაში საერთაშორისო სეისმური ცენტრის სეისმური მონაცემების შესატყვისი ალგორითმის გამოყენებით. კვლევების ანგარიში აჩვენებს, რომ დედამიწის ცენტრიდან ექვსას ორმოცდა ათ კილომეტრში არსებობს ადრე უცნობი ზღვარი, რომელიც მდებარეობს დედამიწის შიდა ბირთვში. ეს მონაცემები მიუთითებს დედამიწის ისტორიაში მომხდარ ორ დამოუკიდებელ გამყინვარებაზე, რომლის მიზეზი ყოველთვის გამოცანად რჩებოდა. სტივენსონმა განაცხადა, რომ დედამიწის შიდა ბირთვის სტრუქტურის შესწავლა იძლევა მისი ფორმირების ისტორიის გარკვევის შესაძლებლობას. "ეს შთამბეჭდავი



აღმოჩენაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოგვიწევს სახელმძღვანელობის გადაწერა", — განაცხადა ჯოან სტივენსონმა. ბირთვის კვლევებმა მეცნიერები მიიყვანა "დედამიწის ღრუში ადამიანთა" არსებობის ჰოპეთეზამდე, რასაც ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენად. თუმცა ზოგიერთები მალავენ ამ ფაქტს პანიკისა და კამათის გამოწვევის შიშით.

1995 წელს ნასამ დედამიწის ღრუდან მიიღო სიგნალი. ეს სიგნალი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ არსებობს უფრო განვითარებული მიწისქვეშა "სამოქალაქო" სამყარო. 1995 წლის 4 თებერვლის კანადურ გაზეთ **Weekly World News**-ის ნომერში გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით "ნასამ მიიღო სიგნალები დედამიწის ღრუდან", სადაც მკითხველს ამცნეს მონაცემები დედამიწის შიგნით არსებული სიცარიელის შესახებ. გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ დედამიწა შიგნით ნამდვილად ცარიელია. გარკვეული ანალიზის შემდეგ, მკვლევარებმა შეიტყვეს, რომ საიდუმლო რადიოსიგნალი წარმოადგენდა რთულ მათემატიკურ კოდს. რითაც დამტკიცდა, რომ ეს იყო არა ბუნებრივი პროცესების შედეგად მიღებული სიგნალი, არამედ რომელიღაც გონიერი სამყაროდან გამოგზავნილი. ნასას ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა: "ასეთი ინფორმაცია არაა საშიში, მაგრამ ის გამოიწვევს კამათსა და პანიკას". არსებობს მიწისქვეშა ცივილიზაცია, ის გვიგზავნის სიგნალებს, რომელიც აღწევს მიწის ქერქიდან და მთის ქანების ასეული კილომეტრის შრიდან. "იატაქვეშა ადამიანებმა" აშკარად მეტი იციან ჩვენზე, ვიდრე ჩვენ მათზე. მათ იციან და შეუძლიათ ჩვენთან ურთიერთობა საკონტაქტო საინფორმაციო ბაზისის გამოყენებით. ჩვენ კი პრაქტიკულად არ გვაქვს საშუალება პასუხი გავცეთ მათ". მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტები ამ აღმოჩენას მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან და საოცარ აღმოჩენად მიიჩნევენ. თუმც მეცნიერებმა ჯერ არ იციან რანაირად, რა ფორმით არსებობს მიწისქვეშა ცხოვრება. ვიცით რომ დედამიწაზე სიცოცხლისთვის აუცილებელია: მზის სხივი, ჰაერი და წყალი. რანაირად შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს მიწისქვეშ? ცნობილია, რომ ღრუ დედამიწის თეორია შთააგონებდა ბევრ მწერალს დაეწერა პოპულარული რომანები, თუნდაც ჟიულ ვერნის " მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ", ედგარ პოს "ართურ გორდონ პიმის თავგადასავლები".დედამიწის შიდა სტრუქტურისა და მის ირგვლივ გარე სამყაროს შესახებ გაურკვევლობის არსებობა სერიოზულ ეჭვებს ბადებს. რეალურად დედამიწის გარსს შეუძლია თუ არა უკეთესი ცხოვრების პირობებით უზრუნველყოს მიწისქვეშა სამყარო ვიდრე მისი ზედაპირი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიქმნია ხილული პრობლემა მიწისქვეშა სამყაროს ადამიანებთან, სამხედროები საიდუმლო კვლევებისას განიხილავენ ბირთვული ქობინის აფეთქების შესაძლებლობას, რომელიც ამოავსებს ღრმა გამოქვაბულებს. ისინი კი სავარუდოდ დედამიწის ზედაპირს აკავშირებს ღრუს სამყაროს მოსახლეობასთან. ეს კი ხელს შეუშლის სავარაუდო გასასვლელის გახსნას სამყაროებს შორის. კონფიდენციალურ იფორმაციას თუ ვენდობით, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ფლობს ღრმა წყალქვეშა გამოსახულების სონარული თვალთვალის სისტემებს, მაგრამ კონფიდენციალურობისვე ყველაზე მაღალი მოთხოვნა უკრძალავს მეცნიერებს უშიშროების სპეციალური საშვის გარეშე მათზე წვდომას. უფრო მეტიც, მათ იციან მიწისქვეშა ბინადართა არსებობს შესახებ. ჭკვიანი ჰომოსაპიენსები ვითარდებიან სხვადასხვანაირად პლანეტის შიგნით არსებული უფრო სტაბილური კლიმატის გათვალისწინებით. მიაჩნიათ, რომ ჩვენ მათთვის ჭიანჭველებივით ვართ. ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ისინი ჩაერევიან ჩვენი სამყაროს საქმეებში თუ ჩვენ ერთი პლანეტის ორი სამყაროს ეკოლოგიისთვის საფრთხედ ვიქცევით. ჯერ კიდევ საკითხავია მოხდება თუ არა დედამიწის ძალთა შეჯახება შორეულ კუთხეებში მცხოვრებ მითიურ მოსახლეობასთან. ასეთ შემთხვევაში ლეგენდები უფრო მეტ სიცხადესა და გამჭვირვალობას შეიძენდა, სადაც მიწისქვეშა სამყაროს ბინადარნი ბრძენთა სახით არიან წარმოდგენილი.



მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

# საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69



**— მაინტერესებს ყველა სახის ალიმენტის სამართლებრივი განსაზღვრა და ნორმები, რომლითაც რეგულირდება ხსენებული საკითხი.**

— საკმაოდ ვრცელი თემაა, მაგრამ მოგაწოდებთ ინფორმაციას იმ დოზით, რამდენადაც გაზეთის ფორმატი მოგვცემს ამის საშუალებას.

შვილების აღზრდა და რჩენა წარმოადგენს ორივე მშობლების მთავარ მოვალეობას. მეტიც, შრომისუნარიანი ოჯახის წევრები მოვალენი არიან იზრუნონ იმ ნათესავებზე, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ არჩინონ საკუთარი თავი. ამგვარ პოზიციას იზიარებს კანონმდებელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნის მე-2 კარში ამ საკითხების მოწესრიგებით.

ლათინური სიტყვა „ალიმენტუმ“ ქართულად ნიშნავს საზრდოს, საკვებს. იურიდიულად ალიმენტი არის ხარჯი, რომელსაც ოჯახს მოშორებული პირი კანონის ძალით სარჩენად უხდის თავისი ოჯახის შრომისუუნარო ან არასრულწლოვან წევრს.

ალიმენტი/სარჩო გადაიხდება შემდეგი პირების სასარგებლოდ:

• 18 წლამდე ასაკის შვილები, რომელთა მიმართ მშობლები ან ერთი მშობელი არ ასრულებს მათი რჩენის ვალდებულებას;

• სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილები;

• შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს;

• ცოლი ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში, თუ კი ხელახალი დაქორწინება არ მოხდა;

• შრომისუუნარო ყოფილი მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან, თუ კი არ მოხდა ხელახალი დაქორწინება;

• არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო ოჯახის წევრი, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ (მშობლები, და-ძმა, შვილიშვილები, პაპა და ბებია, მამინაცვალი და დედინაცვალი, გერი, ფაქტობრივი აღმზრდელი).

გადასახდელი ალიმენტების ოდენობა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით. თუ ალიმენტის ოდენობაზე ვერ ხერხდება შეთანხმება, დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის/სხვა ოჯახის წევრის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ორივე მხარის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. აღსანიშნავია, თუ ოჯახის რჩენა ერთდროულად რამდენიმე პირის მოვალეობაა, სასამართლო მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეულის წილის ოდენობას ამ მოვალეობის შესრულებაში; ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელ ყველა პირს, იმისდა მიუხედავად, ალიმენტს სთხოვენ ყველა ამ პირს, თუ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1215-ე და 1220-ე მუხლების თანახმად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, ან შვილებს, რომლებიც ალიმენტს უხდიან შრომისუუნარო მშობლებს, შეიძლება დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. ასევე, მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას.

შესაბამისი სახსრების ქონის შემთხვევაში, როგორც დები და ძმები, ასევე შვილიშვილი და პაპა და ბებია მოვალენი არიან არჩინონ ერთმანეთი თუ რომელიმე მათგანს, რომელიც არის არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო სრულწლოვანი, დახმარებას საჭიროებს და მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს მშობლისგან/შვილისგან/მეუღლისგან. (სსკ-ის 1223-1225 მუხლები).

მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან/და შრომისუუნარო გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არა ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები (სსკ-ის 1226 მუხლი).

გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას. თუ ისინი გერს ზრდიდნენ/არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გერი ამ მოვალეობისაგან, აგრეთვე მაშინაც, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას (სსკ-ის 1227 მუხლი).

პირი, რომელიც იმყოფებოდა მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, მოვალეა მისცეს სარჩო თავის ფაქტობრივ აღმზრდელს, თუ იგი შრომისუუნაროა, საჭიროებს დახმარებას, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია თავისი შვილების ან მეუღლისაგან (სსკ-ის 1229 მუხლი).

თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ, სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს (გაზარდოს/შეამციროს) დადგენილი ალიმენტის ოდენობა.

იმ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, კანონით დადგენილი წესით, ამ უფლების დაკარგვამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება, მიუხედავად ვადისა, რომელიც გასულია ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან. ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას (სსკ-ის 1234 მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ალიმენტის გადამხდელის ძებნასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დაკავება, მოვალეს ალიმენტის დავალიანებას ახდევინებენ არა უკანასკნელი სამი წლის, არამედ მთელი გასული პერიოდისათვის, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან/და ალიმენტის მიმღები პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევის მიუხედავად (სსკ-ის 1235 მუხლი).

სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტის გადამხდელი მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ალიმენტის დავალიანების გადახდისაგან, თუ დაადგენს, რომ ალიმენტის გადაუხდელობა გამოწვეული იყო ამ პირის ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით (სსკ-ის 1237 მუხლი).



მხარეთა შეთანხმებით წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებით, შეთანხმების ვადის გასვლით ან ამ შეთანხმებაში.

* * *

**— გთხოვთ, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია ელექტრონული პირადობის მოწმობის აღების, საფასურისა და ა. შ. შესახებ.**

— პირადობის ელექტრონული მოწმობა მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული დოკუმენტია, რომლის გაცემის მნიშვნელობა არსებითად ზრდის საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხს. პირადობის ელექტრონული მოწმობა მზადდება საერთაშორისო ორგანიზაციის (IჩAO) მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. არსებული შეთანხმების თანახმად მისი გამოყენება შესაძლებელია სამგზავრო დოკუმენტად თურქეთში მგზავრობის მიზნებისთვის.

საქართველოს მოქალაქე ვალდებულია 14 წლის ასაკის მიღწევიდან 6 თვის ვადაში აიღოს პირადობის ელექტრონული მოწმობა.

კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის დამზადება შესაძლებელია 14 წლამდე ასაკის პირებზეც.

**შენიშვნა: პირადობის ელეტრონული მოწმობის შესაბამის გრაფაში სავალდებულოა მფლობელმა, 9 წლის ასაკიდან, შეასრულოს პირადი ხელმოწერა იმ ფორმით, რომლითაც იგი პრაქტიკაში სარგებლობს.**

პირადობის ელექტრონული მოწმობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს:

• იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

• სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

• საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ!!! თუ პირადობის მოწმობის დამზადებასთან ერთად გსურთ მისამართზე რეგისტრაცია ან რეგისტრაციის ცვლილება, უნდა მიმართოთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის იუსტიციის სახლს ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

პირადობის ელექტრონული მოწმობის მისაღებად განმცხადებელი შეიძლება იყოს:

• სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი პირადად;

• 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი;

• არასრულწლოვანი პირის (18 წლამდე) კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მხარდამჭერი ან მზრუნველი), გარდა 16-დან 18 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა;

• მიუსაფარი ან/და ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შემთხვევაში ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო;

• მხარდაჭერის მიმღები პირი, მხარდამჭერის თანხმობით.

**შენიშვნა: პირადობის ელეტრონული მოწმობის შესაბამის გრაფაში სავალდებულოა მფლობელმა, 9 წლის ასაკიდან, შეასრულოს პირადი ხელმოწერა იმ ფორმით, რომლითაც იგი პრაქტიკაში სარგებლობს.**

პირადობის ელექტრონული მოწმობის მიღებისთვის დაინტერესებულმა პირმა უფლებამოსილ სამსახურში უნდა წარადგინოს:

• დადგენილი ფორმის განცხადება;

• ბიომეტრიული ფოტოსურათი;

• დაბადების მოწმობა;

• მომსახურეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

**შენიშვნა: პირადობის ელეტრონული მოწმობის შესაბამის გრაფაში სავალდებულოა მფლობელმა, 9 წლის ასაკიდან, შეასრულოს პირადი ხელმოწერა იმ ფორმით, რომლითაც იგი პრაქტიკაში სარგებლობს.**

თუ პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემასთან ერთად მოთხოვნილია პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისამართზე რეგისტრაცია, დაინტერესებული პირის მიერ დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს პირის მისამართზე რეგისტრაციისთვის აუცილებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

• ბინის მესაკუთრის მიერ შევსებული თანხმობა;

• საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

• დოკუმენტის მფლობელი პირის ბოლო სამი თვის განმავლობაში კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის თაობაზე ორი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის წერილობითი დასტური, რომელიც გამოხატული უნდა იქნას განაცხადის მიღებაზე უფლებამოსილი თანამშრომლის წინაშე.

**გთხოვთ გაითვალისწინოთ !!!**

**ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.**

**ასევე , აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამოწმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

პირადობის ელექტრონული მოწმობა გაიცემა:

• 18 წლამდე პირებზე - 4 წლის ვადით;

• 18 წლის ასაკის ზემოთ პირებზე - 10 წლის ვადით.

პირადობის ელექტრონული მოწმობა ექვემდებარება შეცვლას შემდეგ შემთხვევებში:

• მოქმედების ვადის გასვლისას;

• სახელის ან გვარის შეცვლისას;

• ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;

• ხმარებისათვის უვარგისობისას;

• დაკარგვისას.

დამზადებული პირადობის ელექტრონული მოწმობა გადაეცემა:

• პირადობის მოწმობის მფლობელ სრულწლოვან პირს;

• 14 წლის ასაკს მიღწეულ პირადობის მოწმობის მფლობელ არასრულწლოვან პირს;

• არასრულწლოვანი პირის (18 წლამდე) კანონიერ წარმომადგენელს, გარდა 16-დან 18 წლამდე ასაკის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისა;

• მიუსაფარი ან/და ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შემთხვევაში ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს;

• მხარდაჭერის მიმღები პირის მხარდამჭერს;

# ბილდერბერგერები და მათი შორსმიმავალი მიზნები

ბილდერბერგის ჯგუფი წელიწადში ერთხელ იკრიბება. ყოველწლიურ ღონისძიებაში 150-მდე ყველაზე მდიდარი და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე მონაწილეობს. მათ შორის არიან სამეფო ოჯახების წარმომადგენლები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, უმსხვილესი საერთაშორისო კონგლომერატების ხელმძღვანელები, მედიამაგნატები და მსოფლიო ბანკირები.

პირველი შეხვედრა 1954 წელს გაიმართა. ორგანიზაცია შეიქმნა იმ მიზნით, რომ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის დამყარებულიყო მტკიცე კავშირი. შეხვედრა წარმოადგენს დახურულ არაფორმალურ დისკუსიას გლობალური ტენდენციების შესახებ დედამიწის ელიტის იმ წევრებს შორის, რომლებსაც მსოფლიო საქმეებში უდიდესი გავლენები აქვთ.

პრესაში დაუშვებელია განცხადებების გაკეთება სხდომების მსვლელობისა და განსახილველი საკითხების შესახებ. ოქმები არ დგება, არც ანგარიშები და ოფიციალური განცხადებები კეთდება.

სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ მიწვეულ სტუმრებს. ყველა მიწვეულს ბილდერბერგის თათბირზე მონაწილეობის შემდეგ სერიოზული კარიერული წინსვლა ელოდება. ბილი კლინტონი ჯერ კიდევ მაშინ ესწრებოდა ბილდერბერგის სხდომას, როცა არკანზასის გუბერნატორი იყო, ერთი წლის შემდეგ ის უკვე ამერიკის პრეზიდენტი იყო. ტონი ბლერი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბილდებერგის სხდომაზე დასწრებიდან ოთხი წლის შემდეგ გახდა.

დამსწრეთ 400-ზე მეტი კბილებამდე შეიარაღებული მცველი იცავს. შეხვედრის ადგილი გამაგრებულია ბუნებრივი ბარიკადებითა და უსაფრთხოების მაღალი დონით. სწორედ ეს საიდუმლო აძლევს საფუძველს შეთქმულების თეორეტიკოსებს, რომ ივარაუდონ, რას აკეთებენ კლუბის წევრები დახურულ შეხვედრებზე.

ბილდერბერგის კლუბის წევრები ყველაზე მდიდარი, გავლენიანი და ცნობილი ადამიანები არიან. წინა შეხვედრებს ესწრებოდნენ: ანგელა მერკელი, ჯორჯ სოროსი, ამერიკელი ტელეწამყვანი და პოლიტიკური კონსულტანტი ჯორჯ სტეფანოპულოსი, ბერძენი ეკონომისტი, აკადემიკოსი, საბერძნეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი გეორგიოს ალოგოსკუფისი, ჯერალდ ფორდი, ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე, ნორვეგიის მეფე ჰერალდ V, მარგარეტ ტეტჩერი, პრინცი ფილიპე, ედინბურგის ჰერცოგი, ესპანეთის დედოფალი სოფია, ჯეფ ბეზოსი...

ბილდერბერგის კლუბი — ეს შეთქმულების თეორეტიკოსების საოცნებო სცენარია, რადგან მონაწილეთა გარდა არავინ იცის, რა ხდება მათ შეკრებებზე...

ამერიკელი რადიოწამყვანი ალექს ჯონსი ეთერში ხშირად საუბრობს ამ ჯგუფის შესახებ. მისი აზრით, რაც დღეს მსოფლიოში ხდება ამ ჯგუფის მანიპულაციების შედეგია. მისი თქმით, ისტორიაში არსებობს ზოგიერთი პრეცედენტი ამის დასამტკიცებლად, მაგალითად, „ცრუ დროშა“ ტონკინის ყურეში, რის გამოც აშშ-ვიეტნამის ომი გაჩაღდა.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ



ბილდერბერგის ჯგუფის წევრებს განუსაზღვრელი გავლენები აქვთ, მით უმეტეს, თუ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს გააერთიანებენ.

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს კიდევ ერთი დამფუძნებელი იყო ედვარდ მანდელ ჰაუსი. ის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მთავარი მრჩეველი იყო. ედვარდ მანდელ ჰაუსის გავლენით ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 1913 წლის დეკემბერში, როცა ბევრი კანონმდებელი ისვენებდა, უხმაუროდ იქნა მიღებული კანონი ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ, რომელიც ბანკირებს უფლებას აძლევდა, ფული ეკეთებინათ.

საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოსა და ბილდებერგის ჯგუფის საერთო მიზანი მსოფლიოს ერთიანი მთავრობისა და ცენტრალიზებული გლობალური საფინანსო სისტემის შექმნაა. ეს ორი ჯგუფი ერთად მუშაობს. საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო ამერიკის მხარეზე მუშაობს, ბილდებერგის ჯგუფი კი — ევროპის.




1992 წელს გამართულ ბილდერბერგის კლუბის შეხვედრაზე ჰენრი კისინჯერმა განაცხადა: „...თუ ადამიანებს ეტყვიან, რომ არსებობს გარე საფრთხე, რეალური თუ წარმოსახვითი, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება, მსოფლიოს ყველა ხალხები შეეხვეწებიან მსოფლიოს ლიდერებს, დაიცვან ისინი ამ ბოროტებისგან...“

ისტორიაში ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა ცრუ ინფორმაცია გამოუყენებიათ ომების გასაჩაღებლად. მაგალითად, როცა გაცხადდა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა, რაც ერაყში ომის დაწყების მიზეზად იქნა გამოყენებული. მოსახლეობის დიდი მასების კონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა მათი შიშის ქვეშ ყოფნა და პოლიციის ან სამხედროების იმედად დარჩენა.

იმისათვის, რომ ახალი მსოფლიო ეკონომიკა შეიქმნას, ბილდერბერგის კლუბის წევრები მიიჩნევენ, რომ უნდა განადგურდეს ნაციონალური ეკონომიკები. ისინი გეგმავენ ამის მიღწევას ან ხანგრძლივი დეპრესიის გამოწვევის გზით, რომელიც სიღარიბეს გამოიწვევს ათწლეულების განმავლობაში, ან მოულოდნელი ინტენსიური ეკონომიკური რყევების გამოწვევის გზით, რაც მათ საშუალებას მისცემს, ნაციონალური ეკონომიკები ახალ კალაპოტში გადაიყვანონ ნაციონალური სუვერენიტეტის შემცირების და ეფექტიანობის მატების ხარჯზე.

ბილდერბერგის ჯგუფმა შესანიშნავად იცის, რომ ამერიკული დოლარის განადგურებაა საჭირო, რათა ის მსოფლიო ვალუტით შეცვალონ. ბანკირები უკვე ძალიან დიდი ხანია, დოლარის განადგურებას ცდილობენ, ამჟამად ის იმის 2% ღირს, რაც ასი წლის წინათ ღირდა.

მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად იზრდება და ამის შეჩერება შორეულ პერსპექტივაშიც არ მოიაზრება. ერთ-ერთი ხერხი, რომლის საშუალებითაც ბილდერბერგის ჯგუფი შეძლებს ამას, პანდემიების გამოწვევაა.

მედიას ცოტა რაოდენობის კომპანია აკონტროლებს, მაგრამ ზეწოლა ძალიან ძლიერია. მთავრობები აქტიურად მონაწილეობენ მედიასაშუალებების ცენზურაში, ასევე ხელს უწყობენ დეზინფორმაციის გავრცელებას, თუ ეს მათ მიზნებს ემსახურება.

ბილდერბერგის ჯგუფის ერთ-ერთი გამოკვეთილი მიზანი ნაციონალური სუვერენიტეტის განადგურებაა. ისტორიულ წარსულში მათ ინდიელები გაანადგურეს. ევროსაბჭო იმ უზარმაზარი გავლენის შედეგად შეიქმნა, რომელიც ბილდერბერგის ჯგუფის წარმომადგენლებს საკუთარ ქვეყნებზე ჰქონდათ, რითაც აიძულეს ისინი, უარი ეთქვათ საკუთარ სუვერენულ უფლებებზე.

როგორც კი ქვეყანა ევროსაბჭოს წევრი ხდება, მას თვითგამოხატვის ისეთი მაღალი დონე უკვე აღარ აქვს. ევროსაბჭოს წესებს ყველა წევრი უნდა დაემორჩილოს. არც ერთ საკითხზე ღია საჯარო დებატები და ხმის მიცემა არ ხდება.

ბილდერბერგის ჯგუფი მუდმივად მუშაობს მსოფლიო კულტურაზე გავლენების გასაძლიერებლად. სხვა ჯგუფებმაც იციან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს.

ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორებისგან მხოლოდ რამდენიმე წარმოადგენს ინტერესს ბილდერბერგის ჯგუფისთვის. „ამაზონის“ დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსიც მათი წევრია. „ამაზონი“ ქმნის ციფრულ ნაკადურ სისტემას ტელევიზიისა და ფილმებისთვის, ასევე საკუთარ კონტენტს. მსოფლიო კულტურის მართვა — ეს ცნობიერების დახვეწილი მართვაა, რომელიც ძალიან ეფექტიანი შეიძლება იყოს.

ყოფილი ნაცისტის მიერ დაარსებულ ბილდებერგის კლუბის წევრებს მოსწონთ მუდმივი ომების გაგრძელებების ყურება, რადგან მათ ძალიან დიდი მოგება მოაქვთ და ერთდროულად ორივე დაპირისპირებული მხარის დაფინანსება შეიძლება. ბირთვული ომიც რომ დაიწყოს, არსებობს უზარმაზარი მიწისქვეშა ქალაქები, რომლებიც მთლიანად ავტონომიურია და სადაც ელიტას უსაფრთხოდ შეუძლია იცხოვროს.

დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ, რომელიც კოვიდ-პანდემიით იყო გამოწვეული, ბილდერბერგის ჯგუფი წლეულს 2-5 ივნისს შეიკრიბა აშშ-ში. სამიტში მონაწილეობა მიიღეს ნატოს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, ამერიკის სამთავრობო კავშირის ცენტრის, ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლებმა და ევროპის ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა. ღონისძიებას ვიდეოჩართვით უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც შეუერთდა.

ბილდერბერგის წლევანდელი შეხვედრის თემები იყო: „გლობალური საფინანსო სისტემის რღვევა“, უკრაინის თემა, „მტრულად განწყობილი რუსეთი“ — რუსეთის სპეცოპერაცია უკრაინაში, რაც ნატოსთვის ღია გამოწვევაა. ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონი (ინდოეთი და შრი-ლანკა).

სხდომაზე განიხილეს ასევე კოვიდ-19-თან დაკავშირებული პრობლემები.

სხდომას ესწრებოდა კომპანია „ფაიზერის“ დირექტორი ალბერტ ბურლა.

საბოლოო ჯამში, ბილდერბერგის ჯგუფის წევრების მთავარი მიზანია შეინარჩუნონ უზარმაზარი თანხები და მოიპოვონ კიდევ უფრო მეტი ძალაუფლება, რათა, საბოლოო ჯამში, მთელ დედამიწაზე დომინირებდნენ.

დევიდ როკფელერი, რომელიც როკფელერების ოჯახის უკანასკნელი პატრიარქი იყო, 2017 წლის 20 მარტს გარდაიცვალა. ის მსოფლიოში ყველაზე ასაკიანი მილიარდერი იყო, რომელმაც 101 წლის ასაკს მიაღწია.

ჰენრი კისინჯერი, რომელიც სახელმწიფო მდივანი იყო რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაციაში, 95 წლისაა, ჯორჯ პ. შულცი, რომელიც რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივანი იყო, 98 წლისაა, ხოლო ჯორჯ სოროსი 88 წლის.

ბილდერბერგის ჯგუფის შორსმიმავალი მიზანია მსოფლიო საზღვრებისა და ნაციონალური სახელმწიფოების გარეშე, რომელსაც „სუპერელიტის“ მიერ კონტროლირებადი ერთიანი მსოფლიო მმართველობა მართავს...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



**შესანიშნავ პოეტს, პროზაიკოსსა და პუბლიცისტს**

**გური ოტობაიას**

**ვულოცავთ 70 წლის იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99